

# “უგზო-უკვლო ორიენტაციის”, ანუ ქალური ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაცია ქართულენოვან ბეჭდვით მედიაში

ნინო ხარჩილავა

მოდული: გენდერი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია  
სოციალურ მეცნიერებებში  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები:  
პროფესორი ნინო ჯავახიშვილი,  
ეკა აღდგომელაშვილი

## Abstract

*The topic of the paper is the representation of women homosexuality in Georgian printed media. There are three research questions stated in the thesis, they concern the issues as: invisibility of women sexuality and homosexuality, construction of women homosexuality as a social problem in Georgian print media and identification of the actors of the constructing process, or the constructors.*

*The research revealed that the process of constructing women homosexuality in media absolutely coincides with the principles of patriarchy. In the analysed data, women homosexuality is interpreted as illogical, anomalous deviation and is discussed in the context of social problem. 2008-2009 Georgian printed media serves as the tool for dominant ideology as the majority of the actors of the constructions are media representatives.*

*ქვემოთ განხილული კვლევა ეხება ქალური ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაციას ქართულ ბეჭდურ მედიაში. ნაშრომში დასმულია სამი კვლევითი კითხვა, რომელიც ეხება ქალური სექსუალობისა და ჰომოსექსუალობის უხილავობის საკითხს, ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირებას და მაკონსტრუირებელ მხარეს, ანუ ამგვარი კონსტრუქციების ავტორებს.*

*კვლევამ უჩვენა, რომ მასმედიის მიერ ქალური ჰომოსექსუალობის კონსტრუირების პროცესი აბსოლუტურ თანხვედრაშია პატრიარქალურ პრინციპებთან. გაანალიზებულ ჟურნალ-გაზეთებში ხდება ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც ალოგიკური, არანორმალური, დევიაციური მოვლენის ინტერპრეტირება და იგი განიხილება სოციალური პრობლემის კონტექსტში. გაანალიზებულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2008–2009 წლის ბეჭდვითი მედია ძირითადად დომინანტური იდეოლოგიისა და პატრიარქალური პრინციპების გამტარად გვევლინება, რასაც ადასტურებს ისიც, რომ ამ კონსტრუქციების ავტორები უმეტესწილად თვითონ მედიასაშუალებების წარმომადგენლები არიან.*

## შინაარსი

შესავალი.....	3
ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
მეთოდი .....	18
შერჩევის პრინციპი.....	19
კვლევის შედეგები და ანალიზი .....	20
ქალური ჰომოსექსუალობის უხილავობის საკითხი.....	20
ქალური ჰომოსექსუალობის კავშირი სოციალურ პრობლემებთან.....	21
კავშირი დევიაციურ ქცევებთან.....	22
კავშირი ღირებულებით-კონფლიქტურ პრობლემებთან.....	49
მომთხოვნი მხარე (claim-maker).....	25
დასკვნა.....	27
ლიტერატურის სია.....	29

## შესავალი

ქვემოთ განხილული კვლევა ეხება ქალური ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაციას ქართულ ბეჭდურ მედიაში, კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი, გაანალიზებულია 2008-2009 წლის პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

კვლევის სფერო გამოიკვეთა გარკვეული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, რაც ლიტერატურის მიმოხილვაშია მოკლედ წარმოდგენილი. ეს არის ის მასალა, რომელსაც გავცანი კვლევის დაწყებამდე და რომელმაც მიმიყვანა კვლევით კითხვებთან. ლიტერატურის მიმოხილვაში ვეხები როგორც ზოგადად სექსუალობას, ასევე ჰომოსექსუალობაზე და ქალური ჰომოსექსუალობაზე არსებულ კვლევებსა თუ ტექსტებს. განცალკევებითაა შეჯამებული საქართველოში არსებული კვლევები ამ თემის ირგვლივ. შედეგ მოცემულია სოციალური პრობლემის გარშემო არსებული თეორიების შეჯამება და მედია-რეპრეზენტაციის თეორიები. ფაქტიურად ლიტერატურის მიმოხილვა დაწერილია იმავე მიმდევრობით, როგორც იმდინარეობდა თემის სფეროს დავიწროება. სექსუალობის საკმაოდ ფართო თემის დავიწროება ჯერ ქალურ სექსუალობაზე, შედეგ ქალურ ჰომოსექსუალობაზე და მისი როგორც სოციალური პრობლემის წარმოჩენაზე მედიარეპრეზენტაციის საშუალებით. ამიტომ ტექსტების შინაარსობრივი შეჯამების პარალელურად ამ ქვეთავში წარმოდგენილი კვლევის მოტივაციაც და მსჯელობის ხაზი, რომელმაც მიმიყვანა კვლევით კითხვებამდე. ბოლოს ჩამოყალიბებულია ის კვლევითი კითხვები და ჰიპოთეზები, რაც აღწერილი ლიტერატურის საფუძველზე გამიჩნდა.

ნაშრომის შემდეგ თავში მოცემულია კვლევის მეთოდის მოკლე აღწერა, მონაცემების შეკრების პრინციპი, იმ გაზეთების სია, რომელიც შევიდა შერჩეულ მასალაში და თვითონ კვლევის პროცესი. როგორც ზემოთაც აღვნიშნე კვლევის მეთოდი გახლავთ კონტენტ ანალიზი, რომელიც იძლევა საშუალებას, როგორც რაოდენობრივად ასევე თვისებრივად ვიკვლიოთ დოკუმენტები. ამ კვლევაში ეს ორივე მიდგომა არის გამოყენებული და განხილული კვლევის შედეგებისა და ანალიზის თავში.

იქედან გამომდინარე, რომ მაქვს სამი კვლევითი კითხვა კვლევის ანალიზის ნაწილიც სამი ქვეთავისგან შედგება. მათში განცალკევებითაა განხილულია ქალური ჰომოსექსუალობის უხილავობის საკითხი, ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირების საკითხი და მაკონსტრუირებელი მხარე, სადაც გამოვლენილია ქალური ჰომოსექსუალობის როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირების ავტორები. განხილვის ნაწილში მოცემულია, როგორც რაოდენობრივი შედეგების ანალიზი ასევე მაგალითები შეკრებილი მასალიდან და მათი თვისებრივი გაანალიზებაც.

დასკვნით ნაწილში მიღებული შედეგები განხილულია იმ თეორიულ ჩარჩოში, რომელსაც გავცანი კვლევის დაწყებამდე და შევაჯამე ლიტერატურის მიმოხილვაში. ბოლოს კი წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურის სია.<sup>1</sup>

<sup>1</sup> კვლევის წარმატებით ჩატარებაში გაწეული დახმარებისათვის მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ფონდ “ინკლუზივს”, სადაც მოვიძიე საკვლევი მასალა. ასევე ჩემს ხელმძღვანელებსა და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ლექტორებს, რომლებმაც კრიტიკული შენიშვნებითა და რჩევებით მომცეს მიმართულება ნაშრომის წერის პროცესში.

### ლიტერატურის მიმოხილვა

ქართულ აკადემიურ სივრცეში თითქმის არ არსებობს კვლევები სექსუალური დისკურსის ფორმულირებაზე მედიაში, ჰომოსექსუალობაზე ზოგადად და არც ქალურ ჰომოსექსუალობაზე, რაც სავარაუდოდ თემის სპეციფიკით აიხსნება. წინამდებარე კვლევა ეხება ქართული ბეჭდური მედიის რამდენიმე პერიოდულ გამოშვებაზე დაყრდნობით, ქალური ჰომოსექსუალობის, ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების რეპრეზენტაციას.

ცნობილი ფრანგი მეცნიერი მიშელ ფუკო სექსუალობას უკავშირებს სოციალურ ძალაუფლებრივ სტრუქტურას. სექსუალობის დისკურსი, მისი აზრით, ისეთი ცნებების ირგვლივ ტრიალებს, როგორცაა ოჯახი, ბავშვები, აკრძალვები, სიამოვნება, მონანიება. “XIX საუკუნიდან ხდება სექსუალობის კონფისკაცია ოჯახის სასარგებლოდ”, [14, გვ. 99] ოჯახი ხდება ნიმუში და წყარო “სასარგებლო” სექსუალობის ნორმისა. სექსი, რომელიც არ იწვევს განაყოფიერებას ითვლება ანომალიად და ხდება დასჯადი. სექსუალობის ამ ბურჟუაზიული გაგების შენარჩუნება ხდება სოციალური სტატუსის შენარჩუნების ხერხი. “მას შემდეგ სოციალური დიფერენციაცია ეფუძნება არა სხეულის სექსუალურ თვისებებს, არამედ სექსუალობის დათრგუნვის ინტენსივობას”, ხოლო “თუ სექსი დათრგუნულია, ანუ აკრძალვისთვისაა და არა არსებობისთვის, მაშინ მასზე და მის დათრგუნვაზე საუბარი თამამი დანაშაულის შეფერილობას იძენს.” [14, გვ. 103]

როგორც მიშელ ფუკო აღნიშნავს: “პირველი დემოგრაფები და ფსიქიატრები XIX საუკუნეში, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ეხსენებინათ სექსი, თავს ვალდებულად თვლიდნენ ბოდიში მოეხადათ მკითხველის წინაშე ასეთი თემატიკის გამო. ჩვენც, მრავალი წლის განმავლობაში, მასზე საუბრისას ვიღებთ გარკვეულ პოზას, რომელიც გულისხმობს, რომ ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გამოწვევას ვუცხადებთ არსებულ წყობას. ჩვენს ტონში გამოსჭვივის იმ ადამიანთა პათოსი, რომლებიც თითქოსდა შეთქმულებას უწყობენ აწმყოს და უხმობენ მომავალს”[6, გვ. 1]

საინტერესოა რამდენად არის შენარჩუნებული ამგვარი დამოკიდებულება ზოგადად სექსუალობის მიმართ. განსაკუთრებით ისეთ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რადენად მუშაობს ძველი საბჭოთა ლოზუნგი “უ ნას სექსა ნეტ”.

ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც ახალგაზრდული რუსული ჟურნალების სექს-დისკურსის ანალიზს ახდენს, [6] მკვლევარი მსჯელობს საბჭოთა კავშირის სექსუალურ იდეოლოგიაზე, სადაც საინტერესოაა გადმოცემული, თუ როგორ მართავდა საბჭოთა იდეოლოგია ქალის სექსუალობას. “ერთიანი საბჭოთა ხელისუფლების მორჩილება გამოიხატებოდა ცხოვრების ყველა სფეროში, ხელისუფლების ძალაუფლება იწყებოდა კრემლიდან და ვრცელდებოდა სამინებლამდე. სექსუალური სფერო იდეოლოგიების და მორალისტების ზონად იქცა. მამაკაცებმა მიიღეს “მეორე ქმრის” როლი, რადგან იდეოლოგიურად სწორედ სახელმწიფოს აწონებდა ქალი თავს, მისთვის ცდილობდა ყოფილიყო მომხიბვლელი, მისი ერთგული და მისთვის უნდა გაეზარდა ჯანმრთელი ბავშვი.” [6; გვ. 2] კვლევა ეხება იმას თუ როგორ აისახა იდეოლოგიის ცვლილება გენდერულ ურთიერთობებზე, როგორ “გაეყარა” სახელმწიფო თავის ქალებს. “სახელმწიფოს აღარ უყვარდა ასე ძლიერ თავისი “ცოლი” ქალები და შვილები\_ ახალგაზრდობა. ის აღარ უზრუნველყოფდა წესრიგს ოჯახში და არც მოზარდი თაობის აღზრდას”. კვლევა რუსული ახალგაზრდული ჟურნალების მაგალითზე უჩვენებს, რომ იდეოლოგიურმა ცვლილებამ გენდერულ ურთიერთობებზეც ჰპოვა ასახვა, რომ უკვე აღარ მოქმედებს სექსუალობაზე ისეთი ცენზურა, როგორც ეს საბჭოთა კავშირში იყო.

სექსუალობასთან დაკავშირებული ბურჟუაზიული წარმოდგენებისგან გათავისუფლება ერთის მხრივ დემოკრატიზაციის პროცესია, მეორეს მხრივ კი საშუალება ახალი ძალაუფლებრივი

იერარქიის აგებისა საზოგადოებაში. იდეოლოგიური ცვლილება მოქმედებს როგორც გენდერულ როლებზე, ასევე სექსუალურ ურთიერთობებზე, სექსუალობის ზოგადად, კონკრეტულად ქალური სექსუალობის და ჰომოსექსუალობის, ახლებურ ახსნასაც გვთავაზობს. ზემოთ ნახსენები კვლევა გვიჩვენებს თუ როგორ აისახება ეს ცვლილებები რუსეთის ახალგაზრდულ ჟურნალებში. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ როგორც გენდერი, ასევე სექსუალობა არის კონსტრუქტი, რომელიც ძალაუფლებრივი სტრუქტურის მიერ ყალიბდება და წარმოადგენს რაციონალური მართვის შედეგს. [9, გვ. 211]

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ქალურ სექსუალობაზე საბჭოთა იდეოლოგიის კონტექსტში ვფიქრობ საქართველოზეც ვრცელდება, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანაზე. ამასთან დაკავშირებით ქართულ აკადემიურ სივრცეში კვლები თითქმის არ არის. სავარაუდოდ ეს ცვლილებები და ცენზურის შესუსტება ქართულ რეალობაზეც აისახა, მაგრამ ვფიქრობ მიუხედავად იმისა, რომ სექსუალობა არ არის ისეთი დაფარული თემა, როგორც ის საბჭოთა პერიოდში იყო, “მას”-ზე საუბარი, იქნება ეს ტრადიციულ-პატრიარქალურ თუ აპათიურ-ნოვატორულ სტილში, მაინც აკრძალვისა და სირცხვილის ცნებების ირგვლივ ტრიალებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ სექსუალურ ქცევასთან, რომელიც ვერ თავსდება ჰეტერონორმატულ ჩარჩოებში.

საინტერესოა, როგორ ხდება არაჰეტეროსექსუალური ქცევისა და იდენტობის რეპრეზენტაცია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღის \_ მედიის მიერ. როგორია ის “სოციალურად მისაღები” კონტექსტი, რომელშიც ის განიხილება ქართულენოვანი პრესის ფურცლებზე, ხდება თუ არა მისი პრობლემატიზაცია მედია-ტექსტების საშუალებით და უწყობს თუ არა ხელს ქართული მედია სტერეოტიპების განმტკიცებას ჰომოსექსუალობის ირგვლივ. ამ თემაზე მხოლოდ ერთი კვლევის მოძიება შევძელი, რომელიც მთლიანად ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერ) ჯგუფს მოიცავს და რომელსაც ქვევით უფრო ვრცლად შევხები. [1]

კონკრეტულად ლესბოსელებზე და ქალურ ჰომო/ბისექსუალობის მედია-რეპრეზენტაციაზე კვლევა ქართულ აკადემიურ სივრცეში ვერ მოვიძიე. ამიტომ, წინამდებარე ნამუშევარში შემოვიფარგლე ჰომოსექსუალი და ბისექსუალი ქალების და ქალური ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაციის კვლევით.

ჩემი მოტივაცია გახლდათ ის, რომ ამ თემაზე კვლევები თითქმის არ არსებობს და რომ პატრიარქალურ სტრუქტურაში არაჰეტეროსექსუალი ქალი ორმაგად მარგინალიზებულად მიმაჩნია. იგი ორმაგ “უცხო” წარმოადგენს, როგორც გენდერული, ასევე სექსუალური იდენტობის ნიადაგზე და ლესბოსელი/ბისექსუალი ქალი უფრო უხილავი იდენტობაა, ვიდრე ჰომოსექსუალი მამაკაცი. [2] ეს მოსაზრება გარკვეული ლიტერატურის გაცნობის და პრესის მონიტორინგის ჩატარების საფუძველზე გამიჩნდა, რასაც ქვემოთ უფრო ვრცლად მიმოვიხილავ.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე მამაკაცი და ქალი ჰომოსექსუალების რეპრეზენტაციის შედარებით ანალიზს არ მოვახდენ, მათზე დაწერილი სტატიების მხოლოდ რაოდენობრივი სხვაობის ილუსტრირებით შემოვიფარგლები. ჩემი კვლევის მიზანი უფრო მოკრძალებულია. მაინტერესებს არის თუ არა ქალური ჰომოსექსუალობა ქართულენოვან ბეჭდურ მედიაში წარმოდგენილი, როგორც სოციალური პრობლემა.

სოციალური პრობლემის კონსტრუირების და ზოგადად რეალობის კონსტრუირების პროცესში კი მედიას, სხვა იდეოლოგიურ ინსტიტუტებთან ერთად ერთ-ერთი წამყვანი როლი უკავია. ე. დიაკოვა თავის სტატიაში “მასობრივი კომუნიკაცია და რეალობის კონსტრუირების პრობლემები” [8] მედიის როლს თანამედროვე საზოგადოებაში და მის ზეგავლენას რეალობის ხატის ფორმირების პროცესზე, ადარებს მითების და ლეგენდების როლს ტრადიციულ საზოგადოებაში. “თანამედროვე საზოგადოება ერთიანდება “მსოფლიო სიახლის” გარშემო” \_



ამბობს ის. [8, გვ. 1] ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ხდება ამ “სიახლის” მოწოდება, რა ინფორმაციაა მასში კოდირებული და როგორ ახდენს ამა თუ იმ ობიექტური მოვლენის (ჩვენს შემთხვევაში ქალური ჰომოსექსუალობის) აღწერას და რეპრეზენტირებას.

გარდა იმისა, რომ მედიის დიდი გავლენა აუდიტორიაზე უდაოა და ამდენად მნიშვნელოვანია მისი ანალიზი, იგი თვითონ წარმოადგენს საზოგადოების ანარეკლს. დამოკიდებულება განსხვავებულის მიმართ, რომელიც ვლინდება პრესაში, იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური ნიშნით, შეიძლება ითქვას, რომ არის დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელი, რადგან გვადლევს გარკვეულ წარმოდგენას საზოგადოების ღიაობის შესახებ. გარდა ზემოთ მოყვანილი ლიტერატურისა, რაც დამეხმარა როგორც კვლევის სფეროს განსაზღვრაში, ასევე კვლევითი კითხვის ფორმულირებაში, საკვლევის თემის გარშემო ლიტერატურა მოვიძიე რამდენიმე მიმართულებით. ეს გახლავთ:

1. საქართველოში არსებული კვლევები ჰომოსექსუალობის ირგვლივ;
2. თეორიები სოციალური პრობლემის შესახებ;
3. ლიტერატურა მედია-რეპრეზენტაციის, კომუნიკაციური პროცესის შესახებ

ქვემოთ უფრო დაწვრილებით მიმოვიხილავ თითოეულ მათგანს.

\*\*\*

ევროპის გეი და ლესბოსელთა საერთაშორისო ასოციაციის (ილგა ევროპა) 2007 წლის მოხსენებაში, [23] სადაც ერთი თავი ლესბოსელთა ხილვადობის საკითხს ეთმობა, შეილა ქუინი განიხილავს ორმაგ მორალს, რომელიც მუშაობს მამაკაცებთან და ქალებთან მიმართებაში. მას მოჰყავს შიდსის ცენტრის მოხსენება, სადაც საუბარია იმაზე, რომ მამაკაცისთვის ქორწინების გარეთ სქესობრივი კავშირის დამყარება არ ითვლება დასაძრახ საქციელად, ქალების შემთხვევაში კი მსგავსი ქმედება და ზოგადად სექსუალური აქტის სიამოვნების და არა პროკრეაციის კონტექსტში განხილვა ითვლება პროსტიტუციად.

მოხსენებაში მოყვანილია ასევე 2004 წელს სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული გამოკითხვა, რომელმაც უჩვენა, რომ 98 % რესპოდენტებისა თვლის, რომ ქალმა უნდა შეინარჩუნოს ქალწულობა გათხოვებამდე, მაშინ როცა მხოლოდ 47 % მიიჩნევს, რომ მამაკაცს არ უნდა ჰქონდეს სექსუალური კონტაქტი ქორწინებამდე. ამავე თემაზე, პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ 2003 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა თაობაში 60% ბიჭი და 53 % გოგო, ხოლო მშობლების 87% ქალის ქორწინებამდე სექსუალურ კავშირს უარყოფითად აფასებს, და მთლიანობაში (როგორც ბიჭი ასევე გოგო) 2% უჭერს მხარს, რომ კაცებისთვისაც იქცეს ნორმად დაქორწინებამდე სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავება. (23, გვ 26)

ორმაგი მორალი და ორმაგი სტანდარტები ცალკე კვლევის საკითხია, და სცდება ამ კვლევის ფარგლებს. აქ კი ეს შედეგები, მოვიყვანე, როგორც ილუსტრაცია იმისა, რომ საქართველოში ტაბუირებულია ზოგადად ქალის სექსუალობის საკითხი და ქალისა და მამაკაცის სექსუალობას განსხვავებულად უყურებენ. ამ თემაზე ვკითხულობთ ნინო ჯავახიშვილის სტატიაშიც დაწყვილების სტრატეგიების შესახებ. [5] სტატია გვაცნობს კვლევას, რომელიც 2006 წელს ჩატარდა. ეს გახლავთ საგაზეთო/საქორწინო განცხადებების კონტენტ ანალიზისა და ფოკუს ჯგუფის შედეგები, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ქალური სექსუალობის შესახებ. საგაზეთო განცხადებებში, სადაც პოტენციური პარტნიორის ძიებისას ხდება როგორც საკუთარი თავის დახასიათება “საოჯახო ბაზრის” კრიტერიუმების მიხედვით, ასევე იმ მოთხოვნების ჩამოყალიბებაც, რომელსაც პოტენციური პარტნიორისგან მოითხოვენ (აღსანიშნავია, რომ საპაემნო განცხადებებში მხოლოდ ჰეტეროსექსუალურ

ურთიერთობებზე იყო საუბარი), აპლიკანტებიდან მხოლოდ მამაკაცები იყენებდნენ საკუთარი თავის დახასიათებისას სექსუალურ ინფორმაციას. ქალის შემთხვევაში ეს ხდებოდა ძალიან იშვიათად და მხოლოდ შეფარულად, რაც ფსევდონიმების ლატენტურ ინფორმაციაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა. ეს გახლდათ პასიური, მომლოდინე, სტერეოტიპული სახის ქალურ სექსუალობაზე მიმანიშნებელი სახელები. სამაგიეროდ აქტუალური იყო ე.წ. “ოჯახის ქალის” იმიჯი, და ამის მკვეთრი ხაზგასმა ხდებოდა, როგორც ფსევდონიმებში, ასევე ტექსტებშიც. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარი “შეფუთვა” “საპაემნო ბაზარზე” მომგებიანია, რადგან ეს არის საზოგადოების ძირითადი მოთხოვნა ქალის მიმართ.

ის რომ ქალს, როგორც სოციალურ ჯგუფს, გარკვეულ ფუნქციონალურ ვალდებულებებში აქცევს პატრიარქალური საზოგადოება უდაოა და ამის შესახებ ბევრ ფემინისტ მკვლევარს აქვს დაწერილი. ქალური სექსუალობა შემოსაზღვრულია რეპროდუქციის ფუნქციით და განიხილება მხოლოდ ოჯახის და ქორწინების ფარგლებში. თუმცა, ვფიქრობ, ეს მხოლოდ ქართულ რეალობას არ ეხება. ირენ დაიოლის სტატიაში “ქალური ჰომოსექსუალობა, პატრიარქატი და ნაციონალური საზოგადოება” [17] ვკითხულობთ:

“აქცენტი რეპროდუქციაზე თავისთავად ზღუდავს ქალის სექსუალობას და სანქცირებულს ხდის მის სხეულს. ქალის სხეული ხდება სოციალური საკუთრება. პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალის სხეული მამაკაცის ტერიტორიაა, ამიტომ ქალს მხოლოდ მამაკაცთან ალიანსში შეუძლია თვითდამკვიდრება საზოგადოებაში. ლესბოსელს და ზოგადად დაუქორწინებელ ქალს არ აქვს ადგილი ასეთ სოციალურ სფეროში. ის დაიბრუნებს ამ ადგილს მხოლოდ საქორწინო კონტრაქტზე ხელის მოწერის შედეგად, როცა გადავა ოჯახის თავკაცის ხელში, რომელიც შეითავსებს მედიატორის როლს პირად და საზოგადო სფეროებს შორის, გააკონტროლებს მას საზოგადოების სახელით და მის სხეულს, როგორც კოლექტიური სივრცის ნაწილს, როგორც სოციალურ ტერიტორიას, პატრიარქალური ღირებულებებისა და იდეოლოგიის გამტარად აქცევს.” [17, გვ. 137]

ზემოთმოყვანილი ციტატიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სექსუალური კავშირი, რომელიც არ გულისხმობს მამაკაცთან ალიანსს და არ ემსახურება რეპროდუქციას, (აქ მოიაზრება არა მხოლოდ ბიოლოგიური რეპროდუქცია, არამედ სიმბოლური და იდეოლოგიური რეპროდუქცია) მიიჩნევა ანომალიად. [17, გვ. 138] ამ საკითხს ეხმიანება ცნობილი ფემინისტის მონიკ ვიტის ცნობილი კითხვა “არიან ლესბოსელები ქალები?”. სადაც “ქალში” პატრიარქალური სტრუქტურის მიერ განსაზღვრული დაქვემდებარებულ პოზიციაში მყოფი სოციალური ჯგუფი იგულისხმება. პატრიარქალური სისტემების ფუნქციონირება ხდება ქალის წინასწარგანსაზღვრული ფემინური მოდელის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს დადგენილ ფუნქციებს და არ რთვს მას საზოგადოებრივ სფეროში, როგორც ავტომატურ ინდივიდს. ეს წინასწარგანსაზღვრული ფემინური მოდელი არის ნორმა და განმსაზღვრელი ქალის რაობისა. აქედან გამომდინარე, პატრიარქალურ დისკურსში ქალი იმდენად არის ქალი, რამდენადაც ესადაგება მოცემულის საზოგადოების მიერ მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. უფრო მარტივად და ხისტად რომ ჩამოვაყალიბოთ, ქალის სტერეოტიპული სახე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალია ის, ვინც სუბორდინაციულ მიმართებაში იმყოფება მამაკაცთან; ის, ვისი შრომაც შემოისაზღვრება პირადი სფეროთი, ვისი ფუნქციაც არის რეპროდუქცია და ა. შ. ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს კი ქალის, როგორც სოციალური ჯგუფის მიმართ, ლესბოსელი არ აკმაყოფილებს.[25]

მოცემული სტრუქტურაში, რომელიც პატრიარქალურია ლესბოსური იდენტობა აღიქმება ანომალიად და ჰომოსექსუალური ქცევა კი დევიაციურ ქცევად, ამას ადასტურებს კვლევებიც. გეი და ლესბოსელთა საერთაშორისო აოციაციის (ილგა ევროპა) მოხსენებაშიც, სადაც შეილა ქუინს მოჰყავს 2004 წლის გამოკითხვის შედეგები.[23] სულ გამოკითხეს 430 ადამიანი, 250 ქალი და 180 მამაკაცი 17-50 წლამდე. გამოკითხვა ეხებოდა ზოგადად ჰომოსექსუალებს. 84% ნეგატიურად იყო განწყობილი, 14% ნეიტრალურად, 2% კი პოზიტიურად. ხოლო ლესბოსელებთან მიმართებაში,



გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთაგან 40% ამას დაავადებად მიიჩნევს, 34% სიმახინჯედ, 20% – ცოდვად, 1% კი თვლის, რომ ეს არის დროებითი პერიოდი ქალის ცხოვრებაში, რომელმაც შეიძლება ჩაიაროს.

თუკი გავიხსენებთ იმასაც, რომ სექსუალური ორიენტაცია ყველაზე უხილავია კულტურული იდენტობის ყველა სხვა ფორმას შორის [12] და იმასაც, რომ მასკულიზურ კულტურებში ზოგადად ქალი პრივატულ სფეროში რჩება [25]; [2] შეგვიძლია ლესბოსელთა უხილავობა, განვიხილოთ, როგორც ამ სოციალური ჯგუფის მარგინალიზაციის ერთ-ერთი ხერხი და ჩავთვალოთ იგი ორმაგად მარგინალიზებულ ჯგუფად, როგორც გენდერული მიკუთვნებულობის, ასევე სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ სოციალური ჯგუფის ირგვლივ დამეწერა სამაგისტრო ნაშრომი. დავინტერესდები, იწერებოდა თუ არა ქალურ ჰომოსექსუალობაზე პრესაში საერთოდ და თუ იწერებოდა, როგორ და რა კონტექსტში ხდებოდა მისი გამუქება.

როგორც შესავალშიც აღვნიშნე, მოვიძიე ერთადერთი კვლევა, რომლის თემის სფერო გახლავთ ჰომოსექსუალების რეპრეზენტირება ქართულ მედიაში. [1] იგი ეკუთვნის ეკა აღდგომელაშვილს და მასში წარმოდგენილია გარკვეული მითები, რომლის ტირაჟირებაც ხდება მედიის საშუალებით. კვლევა ეხება მთლიანად ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) ადამიანების რეპრეზენტირებას და მოიცავს პერიოდს 2005 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მასში ნაჩვენებია, თუ რა სახის სტერეოტიპების განმტკიცებას უწყობს ხელს ჰომოსექსუალობის ირგვლივ ქართული ჟურნალ-გაზეთები, მაგალითად ჰომოსექსუალობის, როგორც დემოგრაფიული კატასტროფის წინაპირობის, როგორც დასავლეთიდან გადმოსული მოდის წარმოჩენა და ა.შ.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ტერმინი ჰომოსექსუალი პირველად შიდსისა და პროსტიტუციის თემასთან დაკავშირებით ჩნდება 1990 წელს. ასევე ხშირია შოუბიზნესთან დაკავშირებით პუბლიკაციებში მათი ხსენება, მაგრამ ეს ძირითადად უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი სტატიებია. 2000 წლიდან სიტუაცია იცვლება და ჰომოსექსუალობა პოლიტიკურ ქდერადობას იძენს, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ეს თემა ნაკლებად განიხილება პოლიტიკურ კონტექსტში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ადამიანებს ნაკლებად ეძლევათ საკუთარი თავის რეპრეზენტირების საშუალება, ხდება დისკურსის მონოპოლიზება და ამ გზით არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის საზოგადოებრივ პრობლემად წარმოჩენა; ანალიტიკური ხასიათის სტატიებში არაჰეტეროსექსუალური ქცევა განიხილება მხოლოდ სამედიცინო და რელიგიურ ასპექტში; ლგბტ ადამიანების შესახებ მითების გავრცელებით მედია ხელს უწყობს ამ ადამიანების სტიგმატიზაციას და ხელს უშლის მათ ინტეგრაციას და იატაკქვეშეთიდან გამოსვლის (ქამინ აუთის) პროცესს; არ ხდება ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის იდენტიფიკაცია.

ზემოთ აღნიშნულმა კვლევამ უჩვენა, რომ საქართველოში ჰომოფობიის გამოვლინების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ლგბტ ადამიანების დისკრედიტაციის მიზნით მითითებები მათ კავშირზე ისეთ სოციალურ დევიაციებთან, როგორიცაა ნარკომანია, ქურდობა, პროსტიტუცია და სხვა. ამ შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰომოსექსუალობის სოციალურ პრობლემებთან დაკავშირება ჰომოსექსუალების მარგინალიზაციის ერთ-ერთი ხერხია. ეს კავშირი ჰომოსექსუალობის როგორც სოციალური პრობლემის წარმოჩენასა და ჰომოსექსუალების, როგორც სოციალური ჯგუფის მარგინალიზაციას შორის ლოგიკურად მიმაჩნია, თუ გავითვალისწინებთ მედიის გავლენას აუდიტორიაზე და მის როლს რეალობის კონსტრუირების პროცესში. მედიის გავლენას საზოგადოებრივ აზრზე ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით. აქ კი მსურს აღვნიშნო, რომ ჩემი

კვლევა მიმართა ზემოთაღწერილი კვლევის ერთგვარ გაგრძელებად, რადგან ამ მონაცემებმა განსაზღვრა ჩემი კვლევის მიზანიც – მაინტერესებს იყენებს თუ არა მარგინალიზაციის ამ ხერხს ქართული ბეჭდური მედია კონკრეტულად ქალური ჰომოსექსუალების რეპრეზენტაციის დროს და წარმოაჩენს თუ არა ქალურ ჰომოსექსუალობას, როგორც სოციალურ პრობლემას.

ის რომ რეპრეზენტაციის ხერხმა შეიძლება მოახდინოს ამათუიმ ჯგუფის მარგინალიზაცია და როცა რეპრეზენტაცია ხდება დევიაციასთან კავშირში, ეს ჯგუფის მარგინალიზაციას უწყობს ხელს არაერთი კვლევაში აისახა. ზემოთ აღწერილი ეკა აღდგომელაშვილის კვლევის გარდა, შემიძლია მაგალითად სარა ბალდერის კვლევაც მოვიყვანო “ალტერნატიული გენდერისა და სექსუალური იდენტობების მარგინალიზაცია: ნორმატიული დისკურსული პრაქტიკები ჩილეს საზოგადოებაში”, [16] სადაც ნაჩვენებია ენისა და რეპრეზენტაციის როლი მარგინალიზაციის პროცესში, კვლევაში ვკითხულობთ: “ენა არის მთავარი გამტარი რომლის საშუალებითაც ხდება კულტურული იდეოლოგიის ცირკულაცია, მას უკავია გადაამწყვეტი როლი სოციოკულტურული იდენტობის ფორმირების პროცესში” [ 16; გვ11] ლინგვისტური ფორმებით, რომელიც გამოიყენება რეპრეზენტაციის დროს და იმ კავშირებით რომელსაც ტექსტი გვთავაზობს სხვადასხვა მოვლენებს შორის შეიძლება მოხდეს ჯგუფის მარგინალიზაცია. უმცირესობის რეპრეზენტაციის შემთხვევაში კი მედია ხშირად იყენებს დევიაციურ ქცევებთან დაკავშირების ხერხს, როგორც მარგინალიზაციის მეთოდს [7]

\*\*\*

კვლევის დაწყებამდე გავეცანი სხვადასხვა თეორიას სოციალური პრობლემის ირგვლივ.

სოციოლოგიაში სოციალური პრობლემის თეორიული გააზრება მეოცე საუკუნის ბოლო სამ ათწლეულში განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა. ჩამოყალიბდა ე.წ. სოციალური პრობლემების სოციოლოგია, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სკოლა თუ მიმდინარეობა გამოიკვეთა.

ვ. მინინას სტატიაში “სოციალური პრობლემების სოციოლოგია: ძირითადი კონცეფციების ანალიტიკური მიმოხილვა” [13] განხილულია სხვადასხვა მიდგომები სოციალური პრობლემისადმი. მოკლედ მიმოვიხილავ ზოგიერთ მათგანს:

ძირითადად სოციალური პრობლემის გააზრება ხდება ორი მიმართულებით, ეს გახლავთ ობიექტივისტური და კონსტრუქტივისტული მიდგომები.

პირველი, ობიექტივისტური ტრადიციის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამი მიდგომა: ფუნქციონალური, ღირებულებით-კონფლიქტური და ნორმატიული. ამ სამივე მიდგომას აქვს საერთო ის, რომ ისინი ოპერირებენ ისეთი ტერმინებით, რომლებიც აღწერენ ობიექტურ სოციალურ პრობლემებს, ხსნიან დამოკიდებულებას ამ პრობლემების მიმართ და ამა თუ იმ ობიექტური სიტუაციის პრობლემატიზაციის მიზეზებს.

სოციოლოგი ამ მიდგომების ფარგლებში განიხილება, როგორც დამკვირვებელი, ექსპერტი, რომლის ფუნქციაა\_ გამოავლინოს ისეთი ვითარებები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს არასასურველ და პრობლემურ სიტუაციად, შეაფასოს ის მოქმედებები რომლებიც განსაზღვრავს პრობლემურ სიტუაციებს და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ ამ სამ მიდგომას ბევრი აქვს საერთო გადაკვეთის წერტილი, მაგრამ განსხვავებების თვალსაჩინოდ წარმოაჩენსათვის, უპრიანია მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

ფუნქციონალური სკოლა დიდი ხნის განმავლობაში ერთ-ერთი წამყვანი მიდგომა იყო სოციალური პრობლემის გააზრებაში. იგი ეყრდნობა დურკჰეიმის ნაშრომებს და მის სოციალური დეზორგანიზაციის თეორიას.

დურკჰეიმის აზრით წესრიგის შესანარჩუნებლად აუცილებელია სოციალურმა ჯგუფმა გაიზიაროს განსაზღვრული საბაზისო ღირებულებები. ისეთ დეფორმაციებს საზოგადოებაში, როგორცაა ტრადიციული ორგანიზაციების, ძირითადი ფასეულობების და ნორმების რღვევა, იგი უკავშირებს დანაშაულის, სუიციდის, ძალადობის ფაქტების მოჭარბებას. ხოლო ისეთი მოვლენები, როგორცაა ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, მისი აზრით აჩქარებს საზოგადოებრივ ცვლილებებს, ავტორიტეტებისა და ტრადიციების რღვევას. უწინდელი სტრუქტურის მოშლა იწვევს ახალი სისტემის წარმოქმნას. ხდება ძველის ახლით ჩანაცვლება და სოციალური წონასწორობისა და ბალანსის კვლავ აღდგენა. ეს გარდაუვალია, რადგან საზოგადოების განვითარება გულისხმობს რღვევისა და აღდგენის უწყვეტ პროცესს. [13; გვ. 72]

დურკჰეიმი გამოყოფს კონკრეტული სოციალური სისტემის არსებობისათვის სამ აუცილებელ პირობას, ესენია: კონსენსუსი ღირებულებებთან, წესრიგი და სტაბილურობა. აქედან გამომდინარე სოციალური პრობლემის ინტერპრეტირება ხდება, როგორც ზემოთხსენებული რომელიმე პირობის რღვევის შედეგი.

"დისფუნქცია" და "დეზორგანიზაცია" დაკავშირებულია ღირებულებითი კონსენსუსის რღვევასთან. "დისფუნქციაში" იგულისხმება ის, რომ არ ხდება საბაზისო კავშირების უზრუნველყოფა, რაც წარმოადგენს საზოგადოების განვითარების და სიმყარის აუცილებელ პირობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ ირღვევა სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონალური კავშირი, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა საზოგადოების ერთიანობა. ამ ფუნქციების რღვევა საფრთხეს უქმნის სოციალურ სისტემას.

ვ. მინინა, თავის სტატიაში "სოციალური პრობლემების სოციოლოგია: ძირითადი კონცეფციების ანალიტიკური მიმოხილვა", აღნიშნავს: "დეზორგანიზაციის და დისფუნქციის შემთხვევაში, სოციალური პრობლემის, როგორც ერთეულის, განმსაზღვრელი არის სისტემა. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ სისტემის საზღვრები? რა არის სისტემის კოლექტიური მიზნები და ვინ ახდენს მათ ფორმულირებას? ამ კითხვებს მოცემული მიდგომა ღიად ტოვებს." [13; გვ. 75]

ღირებულებით-კონფლიქტური სკოლის წარმომადგენლები, როგორცაა კეისი, ვალერი, ფიულერი და სხვანი, აქცენტირებას ახდენენ განსხვავებაზე [13; გვ. 77] ობიექტურ პირობებსა და ამ პირობების როგორც სოციალური პრობლემის აღიარებას შორის. მის ფარგლებში პრობლემები განიხილება, როგორც ღირებულებების შეჯახების შედეგი, რასაც მივყავართ ღირებულებითი კონსენსუსის რღვევისაკენ.

მოცემული მიდგომის მთავარი თავისებურება არის ის, რომ პრობლემა განიხილება როგორც მორალური კატეგორია, რომელიც ირეკლავს კონკრეტული ჯგუფის ზნეობრივ თუ მენტალურ თავისებურებებს, ამიტომ მისი შესწავლა საჭიროებს კოლექტიური ინტელექტის ანალიზს. გამოდის, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა სოციალური პრობლემის განსაზღვრებაში აქვს ღირებულებით განსჯას.

მორალური შეფასებების პრიორიტეტი პრობლემატიზაციის პროცესში წარმოადგენს კონფლიქტურ-ღირებულებითი სკოლის მთავარ განმასხვავებელს ფუნქციონალური სკოლისგან. იგი აკრიტიკებს ფუნქციონალურ სკოლას ადამიანის ღირებულებითი სამყაროს უფულვებელყოფის გამო.

ვალერი ამბობს, რომ ფუნქციონალური სკოლა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ობიექტური მხარით და გამორიცხავდა იმ დამოკიდებულებას ობიექტური პირობებისადმი, რაც მას პრობლემად აქცევს. ამრიგად ხდება იდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმის გამოტოვება.

კელერი და მიუსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრობლემატიზაციის სუბიექტურ მხარეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სანამ ადამიანები არ აცნობიერებენ პრობლემას, ის არ აისახება მათ ქმედებებზე, ხოლო ობიექტური პირობები მხოლოდ მაშინ ხდება პრობლემა, როცა საფრთხეს

უქმნის კონკრეტული სოციალური ჯგუფის ძირეულ ღირებულებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასახელებული ავტორების თვალსაზრისით, პრობლემა არის ის, რასაც ადამიანები თვლიან პრობლემად.

ამასთან დაკავშირებით ვ. მინინას ზემოთაღნიშნულ სტატიაში ნათქვამია: 'მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებით-კონფლიქტური თეორიის მიმდევრები განსჯას აყენებენ ანალიზის ცენტრში, პრობლემის წარმოქმნის მიზეზების ახსნისას მაინც ობიექტური გარემოს აღწერისკენ მიდიან, რასაც ფუნქციონალისტურ მიდგომამდე მივყავართ' [13; გვ. 78]

როგორც ფუნქციონალური, ასევე ღირებულებით-კონფლიქტური სკოლების წარმომადგენლები, იძულებულნი არიან სოციალური პრობლემის ახსნისას ოპერირება მოახდინონ "ნორმის" ცნებით, რაც პირდაპირ კავშირშია მესამე მიდგომასთან, რომელსაც ნორმატული მიდგომა ეწოდება. ორივე ზემოთ აღწერილი სკოლისთვის აუცილებელია გარკვეული საზომი, რომ სოციალური სიტუაცია ჩაითვალოს ან არასასურველად, ან სისტემის ფუნქციონალურ აგებულებასთან შეუთავსებლად. ამრიგად, ღირებულებების, სოციალური ინსტიტუციებისა თუ ფუნქციების ნორმატულობა ითვლება აუცილებელ პირობად პრობლემატიზაციის პროცესში. სოციოლოგები კი გვევლინებიან ექსპერტებად, რომლებიც ან ამკვიდრებენ ამ სტანდარტებს, ან აფასებენ ფართოდ გავრცელებული სტანდარტების შესაბამისობას არსებულ სოციალურ ვითარებასთან.

ნორმატული მიდგომა სოციალურ პრობლემას განიხილავს როგორც ერთგვარ სოციალურ პათოლოგიას, ნორმატიული მოდელიდან გადახრას. ეს იმთავითვე ნეგატიურ შეფერილობას ანიჭებს პრობლემას და შესაძლო პოზიტიური გავლენების იგნორირებას ახდენს.

ნორმატიულ მიდგომას ეყრდნობა დევიაციური ქცევისა და იარლიყების მიკვრის თეორიები, [13; გვ. 80] რომლის ფუძემდებელი ე. ლემენტი სოციალურ რეაქციას მიიჩნევს დევიაციის განსაზღვრების საფუძვლად. ლემენტი აღიარებს ობიექტურ ქცევას, რომელთანაც უშუალო კავშირშია რეაქცია საზოგადოების მხრიდან. სოციოლოგი აკვირდება და აღწერს ამ რეაქციას, იგი იყენებს სტატისტიკურად განსაზღვრულ ნორმებს და სტანდარტებს პრობლემის იდენტიფიცირებისას.

ფუნქციონალური და ღირებულებით-კონფლიქტური მიდგომებისგან განსხვავებით, ნორმატული მიდგომა სოციალური რეალობის ანალიზის უფრო მეთოდოლოგიურ საკითხებს ეხება ვიდრე თეორიულ მხარეს. ის უფრო სოციალური პრობლემის განსაზღვრის პროცედურას ასახავს და არა აქვს სოციალური თეორიის სტატუსზე პრეტენზია, ამიტომ ის შეიძლება მივუსადაგოთ სხვადასხვა თეორიულ კონსტრუქტებს.

ზემოთ აღწერილი თეორიები იძლევა იმის საშუალებას, რომ ავაგო მსჯელობა იმის შესახებ თუ რამდენად თავსდება ჰეტერონორმატულ საზოგადოებაში ისეთი სექსუალური კავშირი, სადაც მამაკაცი არ ფიგურირებს, რა შეუსაბამობაში მოდის ეს კავშირი პატრიარქალურ სტრუქტურასთან, ვისაუბრო ღირებულებითი კონსენსუსის რღვევაზე. განვიხილო ქალის როლურ-ფუნქციონალური დატვირთვა არსებულ სტრუქტურაში და შევადარო რამდენად თავსდება ან ვერ თავსდება ლესბოსელი ქალი იმ ფუნქციონალურ პარადიგმაში, რომელშიც აქცევს მას პატრიარქალური სტრუქტურა.

მაგრამ ამ შემთხვევაში მსჯელობის ამოსავალ წერტილად რჩება კვლავ პატრიარქალური სისტემა, მსჯელობა შემოიფარგლება სოციალური სტანდარტების განსაზღვრით და ამ სტანდარტებთან მიმართებით ხდება მოვლენის ახსნა ან პრობლემატიზირება. ამდენად მიმაჩნია, რომ ობიექტივისტური მიდგომა სოციალური პრობლემისადმი არ იძლევა საკმარის რესურსს ფემინისტური კვლევისთვის, რადგან აკლია თვითონ სისტემის ანალიტიკური გააზრება.

მოცემულ თეორიებში იგნორირება ხდება იმ ძალაუფლებრივი ურთიერთმიმართებებისა, რომელსაც ეყრდნობა ესა თუ ის სისტემა და უგულებელყოფა ხდება იმისა, რომ ამ სისტემაში



წარმოქმნილი პრობლემების წყაროს ინტერესთა კონფლიქტი წარმოადგენს. სოციოლოგს კი მინიჭებული აქვს ხისტი დამკვირვებლის როლი.

XX ს-ის 70-იან წლებში აღმოცენდა ახალი მიდგომა სოციალური პრობლემის გააზრებაში, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ზემოთ აღწერილი მიდგომებისგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გახლავთ კონსტრუქტივისტული მიდგომა სოციალური პრობლემის სოციოლოგიაში. მისი ფუძემდებლები არიან ამერიკელი მეცნიერები სპექტორი და კითსუზი. [11]; [15]; [20]

კონსტრუქტივისტული მიდგომისთვის სოციალური პრობლემა განიმარტება, როგორც კოლექტიური ქმედება, რომელშიც აისახება სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები. ეს არ არის რაღაც სტატიკური ობიექტური ვითარება, როგორც ამას ობიექტივისტურ მიდგომაში ვხედავთ, არამედ მუდმივი პროცესია, რომლის საფუძველს ინტერესთა კონფლიქტი წარმოადგენს.

პრობლემის გაანალიზება ხდება ძალაუფლებრივი ურთიერთმიმართებების ჭრილში, სადაც მოქმედ მხარეებად გვევლინებიან გარკვეული ჯგუფები, ან ინდივიდები, რომლებიც ახდენენ საკუთარი მოთხოვნების წამოყენებას, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ კონსტრუქტივისტების აზრით პრობლემის გააზრება, როგორც გარკვეული ტიპის სოციალური პირობისა უნდა ჩავანაცვლოთ გარკვეული ტიპის სოციალური ქცევით.

პრობლემატიზაციის პროცესში ცენტრალური ადგილი უჭირავს მოთხოვნას (claim). [11; გვ. 63] მოთხოვნა არის აქტუალიზაცია იმისა, რომ ზოგიერთი პირობა არის არადადამკმაყოფილებელი გარკვეული ჯგუფის ინტერესების გადმოსახედიდან, ანუ არის პრობლემური. მოთხოვნის ფორმულირება არის კომუნიკაციის აქტი, აუდიტორიასთან ურთიერთობის ფორმა და საზოგადოების ყურადღების გარკვეულ სიტუაციაზე გამახვილების საშუალება. მოთხოვნა გულისხმობს საზოგადოების ერთი ნაწილის მიმართვას მეორესთან. ეს ნაწილები ახორციელებენ ურთიერთქმედებას, რადგან ერთი განიხილება როგორც მომთხოვნი (claim-maker) მეორე კი როგორც მიმღები (claimant-client). მომთხოვნი მხარე ახდენს ფორმულირებას წარმოდგენებისა ამა თუ იმ ობიექტურ პირობაზე, იგი ახდენს პირობების, როგორც არასასურველის ან საფრთხის შემცველის შეფასებას.

მომთხოვნმა შეიძლება ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ ვინ არის შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებელი, ან ვინ ინარჩუნებს მოცემულ სიტუაციას და რა სარგებელს იღებს ამ სიტუაციიდან, ასე რომ მოთხოვნები არაერთგვაროვანია და შეუძლია დასახოს სხვადასხვაგვარი სტრატეგიები. მოთხოვნა ფორმირდება გარკვეული ღირებულებების გათვალისწინებით, ღირებულებები გავლენას ახდენენ მოთხოვნის არგუმენტაციასა და შინაარსზე, თუმცა ღირებულებით-კონფლიქტური მიდგომისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტული პერსპექტივიდან ღირებულებები არ წარმოადგენენ მოთხოვნის მიზეზს. მოთხოვნის მიზეზი არის დაუკმაყოფილებელი ინტერესები, ამიტომ პრობლემა წარმოიქმნება ინტერესთა შეჯახების შედეგად, რომელიც იღებს ორი მხარის ინტერაქციის ფორმას, საიდანაც ერთი წარმოადგენს მომთხოვნს, მეორე კი მიმღებს.

სპექტორი და კითსუზი თვლიან, რომ სოციალური პრობლემის კვლევა ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: რას მოიცავს მოთხოვნა და რა ელემენტებისაგან შედება ის? ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ობიექტური პირობებისადმი უკმაყოფილების ჩამოყალიბება არ ხდება მექანიკურად, საჭიროა ვიკვლიოთ ის სტრატეგიები თუ როგორ გადაიზრდება ობიექტური პირობა სოციალურ პრობლემად, ამიტომ კონსტრუქტივისტული კვლევები სოციალური პრობლემებისა ხშირად მიდის იმ მეთოდებისკენ, რომლითაც ხდება პრობლემატიზაცია.

ზემოთ აღწერილი თეორიული მიდგომებიდან, კონსტრუქტივიზმში ყველაზე სრულყოფილად არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მნიშვნელობა და ობიექტური



რეალობის რეპრეზენტაციების როლი სოციალური პრობლემის კონსტრუირების პროცესში. ეს პროცესი არის მართვადი და გულისხმობს გარკვეულ სტრატეგიებს.

თანამედროვე საზოგადოებაში ბევრი სიტუაცია არსებობს, რომელსაც შეიძლება სოციალური პრობლემის სტატუსი მივანიჭოთ. მაგრამ ამ სიტუაციებს შორის არის კონკურენცია. იასოვევის სტატიაში “კონსტრუქციონისტური მიდგომა სოციალური პრობლემებისადმი” [15; გვ 540] წარმოდგენილია ლოსევის შემუშავებული კრიტერიუმები, რომელსაც სოციალური პრობლემის სტატუსის მოსაპოვებლად უნდა აკმაყოფილებდეს ამა ტუ იმ მოვლენის რეპრეზენტაცია. სოციალური, პოტენციურად პრობლემური სიტუაციები ერთმანეთს ეპაექრებიან იმისათვის, რომ მოხვდნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ეს კონკურენცია გამოწვეულია შეზღუდული რესურსებით. შეზღუდულია საეთერო დრო, საგაზეთო სივრცე და ა.შ. ასე რომ მოთხოვნის წარმატება გულისხმობს საზოგადოებრივი დისკურსში მოხვედრას.

ლოსევის მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები უკვე სოციალური პრობლემის კონსტრუირების ტექნოლოგიის საკითხია. იგი გამოყოფს რამოდენიმე შტრიხს. ე სარის:1. ახალი სხვებისგან განსხვავებული საკითხის კონსტრუირება, რადგან სწორედ ახალი და უჩვეულო იქცევის აუდიტორიის ყურადღებას, რომელიც მიდრეკილია მოწყენილობისკენ. 2. პრობლემის ინდივიდუალური მიზეზების კონსტრუირება-აუდიტორიას აინტერესებს ინფორმაცია ინდივიდებზე და არა სოციალური სიტუაციებისა თუ პრობლემების მიზეზებზე. 3. ფართოდ გავრცელებული მოვლენა\_ეფექტურია დიდი რიცხვები, რაც უფრო მეტია მსხვერპლის რაოდენობა ამათუიმ სიტუაციის შედეგად, მით უფრო დიდია ალბათობა რომ სიტუაცია შეფასდეს პრობლემად. 4. სახიფათო შედეგების კონსტრუირება-პრობლემის როგორც “ეპიდემიის”, “კრიზისის”, “კატასტროფის” წარმოჩენა. 5. პრობლემის პერსონალიზაცია. 6. პრობლემის სიმარტივე-ეფექტური სტრატეგია გულისხმობს სირტულეების იგნორირებას და პრობლემის გადმოცემის გასაგები და მარტივი ფორმის გამონახვაში. 7. პრობლემის კონსტრუირება შესაბამის დროში-მნიშვნელოვანია ხელსაყრელი დრო, როცა სხვა მისი დამჩრდილავი მოვლენები არ ხდება. 8. პრობლემის კონსტრუირება იმის გათვალისწინებით, რომ საკომუნიკაციო საშუალებების უმეტესობას გასართობი ხასიათი აქვს \_ ეს სტრატეგია პრინციპში თავის თავში ყველა ზემოთ ჩამოთვლილს გულისხმობს.

კონსტრუქტივიზმის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირების ტექნოლოგია სხვადასხვა მიზნისთვის შეიძლება გამოვიყენოთ. როგორც იასოვევი აღნიშნავს მას ხშირად იყენებენ არჩევნების დროს. [15. გვ 541] ჩემს შემთხვევაში ეს ტექნოლოგიები საინტერესოა რომ უფრო ცხადად დავინახო კერძოდ როგორ ხდება ქალური ჰომოსექსუალობის პრობლემატიზაცია და იყენებს თუარა კონსტრუირების ამ ხერხებს ქართული ბეჭდური მედია.

ეს სტრატეგიები და ტექნიკები გვიჩვენებს რომ პრობლემატიზაცია მჭიდრო კავშირშია რეპრეზენტაციასთან და მოვლენის პრობლემად დასახვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება ამ მოვლენაზე საუბარი, ანუ პრობლემა განიხილება ლინგვისტური ქმედებების კონტექსტში, რაც გულისხმობს აზრებისა და მნიშვნელობების წარმოებას და კვლავწარმოებას, აგებას, კონსტრუირებას. ხდება ობიექტური პირობების მნიშვნელობის ნიველირება, რადგან მიიჩნევა, რომ ისინი თავისთავად არ არსებობენ, არ არსებობენ მათი აღწერისგან დამოუკიდებლად, მათ აღწერას კი ახდენენ ურთიერთქმედი მხარეები. ამრიგად ობიექტური პირობები მხოლოდ სოციალურ კონსტრუქტებად გვევლინებიან. “ჩვენ არ ვეხებით იმას, არსებობს თუ არა ობიექტური პირობები. ობიექტური პირობის, როგორც ასეთის არსებობა ჩვენი ანალიზის მიღმა რჩება და არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.” [სპექტორი და კითხუნი, 2001. გვ 162]

ამიტომ ზემოთ აღწერილი მეთოდებიდან, კოსტრუქტივისტული მიდგომა სოციალური პრობლემის სოციოლოგიაში, ჩემი აზრით, წარმოადგენს ყველაზე კარგ თეორიულ საყრდენს ამა თუ იმ სოციალური ფენომენის მედია-რეპრეზენტაციის კვლევისთვის.

თვითონ რეპრეზენტაციის პროცესი ამ მიდგომის ფარგლებში სცდება მხოლოდ რაიმეს აღწერის ან წარმოჩენის მნიშვნელობას. ობიექტური რეალობა და მისი აღწერის პროცესი არ არის მკვეთრად გამიჯნული, იგი ურთიერთდამოკიდებულია. ამიტომ რეალობა არა მხოლოდ აღწერის ობიექტია, არამედ ამ აღწერის შედეგიც. თუმცა როგორც სტუარტ ჰოლი აღნიშნავს ამით არ ხდება ობიექტური რეალობის უარყოფა. ობიექტური რეალობა არსებობს, კონსტრუირებული პროდუქტის სახით და სწორედ რეპრეზენტაციის პროცესში იძენს თავის მნიშვნელობას.[18]

ჩემი კვლევის ობიექტიც არის არა ლეგალიზაცია, როგორც ობიექტური მოცემულობა, არამედ ქალური ჰომოსექსუალობა, როგორც მედია-რეპრეზენტაციის პროდუქტი. ამდენად რეპრეზენტაციის არა როგორც უბრალო აღწერის, და ობიექტური რეალობიდან განყენებული მოვლენის, არამედ, როგორც მაკონსტრუირებელი პროცესის გაგება ყველაზე კარგად შეესაბამება წარმოდგენილ კვლევას.

\*\*\*

მედია ახდენს სოციალური პრობლემის კონსტრუირებას დიდი აუდიტორიისთვის და თავის მხრივ წარმოადგენს სოციალური პრობლემას თუკი გავითვალისწინებთ მის მრავალმხრივ და კომპლექსურ გავლენებს. ბევრი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი მას ადანაშაულებს ძალადობის, სექსიზმის, რასიზმის, ჰომოფობიის, ეიჯიზმის და სხვა ოპრესიული სოციალური ფენომენების ტირაჟირებაში.[21]

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნე მედიის ზეგავლენა, მისი როლი რეალობის კონსტრუირებაში უდაოა, მას შეუძლია საზოგადოებრივი ღირებულებების შენარჩუნება, ისევე როგორც მათი ექვს ქვეშ დაყენება, [3] მისი მეშვეობით ხდება გარკვეული ობიექტური ვითარებისთვის სოციალური პრობლემის სტატუსის მინიჭებაც.

კომუნიკაციური კვლევები, 1930-1940-იან წლებში იღებს სათავეს. თეორეტიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ პროპაგანდის ძალაზე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ჩნდება კვლევები მედიის სოციალურ ეფექტებთან დაკავშირებით, იწყება დებატები მედიასა და სოციალურ პრობლემებზე და მედიაზე, როგორც სოციალურ პრობლემაზე.

1930- იან წლებში ე.წ. “ფრანკფურტის სკოლა” გახლდათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი პირველი კრიტიკული მიდგომა, რომელიც კულტურულ ინდუსტრიას და მასმედიას, როგორც კულტურული ინდუსტრიის ნაწილს, იდეოლოგიური ლეგიტიმაციის უზრუნველყოფის საშუალებად განიხილავდა. მედია, როგორც დომინანტური იდეოლოგიის გამტარებელი, აუდიტორიას აქცევდა დომინანტური ნორმების პასიურ მიმღებად და ხელს უშლიდა ინდივიდუალიზმს და პლურალიზმს, წარმოადგენდა რა პროპაგანდის იარაღს. მედია განიხილებოდა, როგორც სოციალური პრობლემა, რადგან მას შეეძლო გაემწვავებინა ისეთი სოციალური პრობლემები, როგორცაა დანაშაული, ძალადობა, დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნით და ა.შ. [8]

ეს მოდელი მედია-გავლენისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვა ლაზარფელდისა და მისი კოლეგის ბერნარდ ბერელსონის მიერ. მათ წინ წამოწიეს ჯგუფებისა და ინდივიდების ზემოქმედების ძალა, ხოლო მედიის გავლენა ადამიანის ქცევაზე აღიარეს, როგორც მეორადი გავლენა და ორივე მათგანი მედიის გავლენის ნეგატიურ ასპექტებზე ახდენდნენ ფოკუსირებას. [8] რაც შეეხება მედია-გავლენის პოზიტიურ მხარეებს, აქ უფრო მის საგანმანათლებლო ფუნქციაზე კეთდება

აქცენტი. არავინ დაობს მედიის მნიშვნელოვან როლზე რეალობის კონსტრუირებაში, დავა უფრო იმის გარშემო ტრიალებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, პოზიტიურია ეს გავლენა თუ ნეგატიური.

ცალსახა პასუხი ამაზე არ არსებობს, არც ჩემი კვლევა ისახავს მიზნად გავლენის შეფასებას. რადგან გავლენა მეტად წინააღმდეგობრივია. მედიის გავლენა აუდიტორიაზე მოითხოვს კონკრეტული აუდიტორიის შესწავლასაც, რადგან აუდიტორია მრავალფეროვანია და შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მიანიჭოს ერთსადაიმთხვე მასალას. გამოდის, რომ აუდიტორია არ არის მხოლოდ პასიური მიმღები. ისიც მონაწილეობს მნიშვნელობების მინიჭების, თუ იარლიყების მიკვრის პროცესში. [10] აუდიტორიის რეაქცია კი მისი სოციალური მიკუთვნებულობით, გენდერით, სქესით, სექსუალობით, ეთნიკური წარმომავლობითა თუ იდენტობის სხვა ელემენტებით არის განსაზღვრული.

ბოლო 50 წლის განმავლობაში, ცენტრალური საკითხი მედიაკვლევებისა სწორედ აუდიტორიის, როგორც აქტიური მომხმარებლის გააზრებაა. მაგრამ ეს სულაც არ აბათილებს მედიის ზეგავლენის ძალას უბრალოდ იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო სრულად იქნას დანახული კომუნიკაციის პროცესი.

ამასთან დაკავშირებით სტუარტ ჰოლი თავის სტატიაში “დევიაცია, პოლიტიკა და მედია” აღნიშნავს: “მასმედია არ ახდენს თავისი მნიშვნელობების და შეტყობინებების აღბეჭდვას ჩვენზე, როგორც ცარიელ დაფაზე. მაგრამ მას შეუძლია მოგვაწოდოს განმარტებები, დასვას კითხვები, მოახდინოს პოლიტიკური რეალობის დეფინიციების და ფორმების მოწოდება, აქვს ლეგიტიმაციის ძალაუფლება, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, რომლებიც უცხო, პრობლემატური ან საფრთხის შემცველია, რომლის გარშემოც არ არსებობს ე.წ. ჩამოყალიბებული ‘ტრადიციული სიბრძნე.’” [18; გვ 72.]

“ტრადიციულ სიბრძნეში” სტუარტ ჰოლი გულისხმობს ისტორიულად კონსტრუირებულ ცოდნას მოვლენების შესახებ. ეს ცოდნა კონსტრუირდება კულტურის ფარგლებში. კულტურა (რომლის ნაწილია მასმედია) განისაზღვრება, როგორც სოციალური კონსტრუქტი, რომლის წიაღშიც ფორმულირდება ისეთი სოციალური განზომილებები, როგორცაა გენდერი, რასა, კლასი, სექსუალობა და სხვა. თითოეული მათგანი, თავის მხრივ ასევე წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქტს, რომლის აგებაში დიდი წვლილი შეაქვს მედია რეპრეზენტაციის პოლიტიკას. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰომოსექსუალური ურთიერთობა არ არის კულტურის მიერ დაშვებული კონსტრუქტი და “ტრადიციული სიბრძნის” მიხედვით აღიქმება დევიაციად, საინტერესოა რა მნიშვნელობებს და დეფინიციებს გვთავაზობს მედია-ტექსტები და როგორი ლინგვისტური ფორმებით ხდება მისი მიწოდება მკითხველისთვის.

მედია კვლევებში, ფრანკფურტის სკოლის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები ბრიტანეთის კულტურულ კვლევებისა და ფრანგული სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის ფარგლებში განხორციელდა, სადაც ყურადღება გადატანილია ტექსტების გაშიფრვაზე, პროირიტეტულია კოდირებული მნიშვნელობის ზედაპირზე გამოტანა, და მათი იდეოლოგიური ქვეტექსტის ამოცნობა. [8]

სტუარტ ჰოლი ბრიტანული ინტელექტუალური ტრადიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. თავის სტატიაში “დევიაცია, პოლიტიკა და მედია” იგი ავითარებს ლემენტის დევიაციური ქცევის და იარლიყების მიკვრის თეორიას და ნორმატულ მიდგომას ეყრდნობა. ყურადღებას ამახვილებს მარგინალიზაციის პოლიტიკურ კომპონენტებზე და შემოაქვს პოლიტიკური დევიაციის ცნება. პოლიტიკაში იგულისხმება კომფლიქტი როგორც სოციალური ჯგუფების ინტერესებს შორის, ასევე კომფლიქტი იმ მნიშვნელობებისა და დეფინიციებისა, რომლებიც ენიჭებათ მოვლენებს, გარკვეული იდეოლოგიური სტრუქტურის ფარგლებში. იდეოლოგიას კი მოიზრებს, როგორც ინტერაქციული სიმბოლოების სისტემას.

ჰოლი საუბრობს “მნიშვნელობების რუკაზე”, რომელიც ობიექტივიზებული და ხელმისაწვდომია და წარმოადგენს ნორმატულ ცოდნას. იგი ხასიათდება ახალი დეფინიციებისადმი და კონსტრუქტებისადმი ღიაობის სხვადასხვა დონით. ნაცნობი დეფინიციების განმეორება და ახალი მნიშვნელობების ინტეგრაცია ამ სისტემაში უწყვეტი პროცესია, რომელიც მიმდინარეობს, როგორც სოციალურ ასევე სიმბოლურ დონეზე. სტუარტ ჰოლი განიხილავს სემანტიკური ზონების აგების მექანიზმებს. ყოველდღიურ ყოფაშიც, როდესაც რთული სოციალური პროცესები, გარკვეულ კრისტალიზაციას გადაიან, მათზე ხდება სტერეოტიპების დაშენება, არაფორმალური მოდელების, მაქსიმუმის, გამოთქმების, მითების აგება. იგი აღნიშნავს, რომ ხდება ძველი მნიშვნელობების თავმოყრა და ახალი, უჩვეულო და უცნობი სიტუაციების რეპრეზენტირება ატრიბუტების, იმიჯების, სცენარების თუ მეტაფორების მეშვეობით. პრობლემატურ სიტუაციებში ძველი ნორმატული სტრუქტურა ხშირად ახალ სიტუაციაზე დატანებული, ან ახალი სიტუაცია არის ძველი ტერმინებით და მნიშვნელობებით მოწოდებული. ამ პროცესზე დაკვირვება, მნიშვნელოვანია როგორც დევიაციის, ასევე პოლიტიკისა და მედია-რეპრეზენტაციის შესწავლისთვის. [18]

პოლიტიკური ტრანსაქციების გამოვლინება ლინგვისტურ ფორმებში არგუმენტირებულია, და იმართება სიტუაციური ლოგიკით, რომელიც ისევ და ისევ დომინანტურ ჯგუფზე მორგებულ ლოგიკას წარმოადგენს. მედია-რეპრეზენტაციის პოლიტიკაც, როგორც წესი დომინანტური იდეოლოგიის ჩარჩოებში მოქმედებს. აწარმოებს მარგინალური იდენტობების ხატებს და ამკვიდრებს მათ. მარგინალური ხატები კი ნორმატულთან მიმართებაში განიხილება და ჰეგემონური კულტურის მიერაა დაპროექტებული.

ახალი ცოდნის კონსტრუირება, ანუ ახალი დეფინიციებისა და მნიშვნელობების ცოდნად ქცევა ხდება დომინანტური ჯგუფების მიერ მოწოდებული “ახსნის”, “განსჯის” საშუალებით რაც ლეგიტიმაციის პროცესს წარმოადგენს. ლეგიტიმაციის გზით ხდება მითითება ინდივიდისთვის თუ რატომ უნდა, ან არ უნდა მოახდინოს მან ამა თუ იმ სახის ქცევის პერფორმირება. მაგრამ ერთია, თუ რა მითითებებს აწვდის შეტყობინებები ინდივიდს, და მეორეა რამდენად ითვალისწინებს და რა ფორმით ამკვიდრებს ყოფაში ამ მითითებებს მიმღები მხარე.

სტატიაში “კოდირება-დეკოდირება” [19] ჰოლი ხაზს უსვამს იმას, რომ ის მნიშვნელობები, რომლის მოწოდებაც ხდება აუდიტორიისთვის, არ არის იდენტური იმ მნიშვნელობებისა რომელსაც ანიჭებს შეტყობინებებს აუდიტორია, რადგან კომუნიკაცია არ არის, ცალმხრივი, სწორხაზოვანი პროცესი და სხვადასხვა პერსპექტივით საჭიროებს კვლევას.

დისკურსის, როგორც წრიული პროცესის დანახვა, სადაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შეტყობინება, არამედ მისი ინტერპრეტაცია, აღქმა და სოციალურ პრაქტიკებში გადანაცვლება, (სტუარტ ჰოლი – კოდირება-დეკოდირება) რა თქმაუნდა უფრო სრულად ასახავს მთელს კომუნიკაციურ აქტს, მაგრამ სცდება ჩემი კვლევის ფარგლებს.

ჩემი კვლევა მიზნად არ ისახავს აუდიტორიის შესწავლას, აქედან გამომდინარე ვერ წვდება სრულ კომუნიკაციურ პროცესს. ჩემი კვლევის ობიექტი შემოიფარგლება მხოლოდ მედია-ტექსტებში წარმოდგენილი შეტყობინებების ანალიზით, ხოლო მეთოდს წარმოადგენს კონტენტ ანალიზი, რომელსაც ქვემოთ უფრო ვრცლად შევხები.

მანამდე კი წარმოგიდგინოთ იმ კვლევით კითხვებს, რომლებთანაც ზემოთგანხილულმა ლიტერატურამ მიმიყვანა. მაქვს სულ სამი კვლევითი კითხვა.

1. რაოდენობრივად ლესბოსელები როგორ არის წარმოდგენილი ქართულენოვან ბეჭდურ მედიაში მამაკაც კომოსექსუალებთან შედარებით?

*ეს კითხვა გამიჩნდა ქალური სექსუალობის და კომოსექსუალობის უხილავობის შესახებ არსებული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ.*



2. არის თუ არა ქალური ჰომოსექსუალობა დაკავშირებული სოციალურ პრობლემებთან და ამრიგად კონსტრუირებული, როგორც სოციალური პრობლემა?

*როგორც ეკა აღდგომელაშვილის კვლევიდან ჩანს, ჰომოსექსუალობის მარგინალიზაცია ხშირად მათი სოციალურ პრობლემებთან დაკავშირების გზით ხდება. აქედან გამომდინარე, დამაინტერესა, ვრცელდება თუ არა მარგინალიზაციის ეს ხერხი კონკრეტულად ქალ ჰომოსექსუალებზე.*

იმ შემთხვევაში, თუკი ამ კითხვაზე დადებით პასუხს მივიღებ, დაისმება მესამე კითხვა:

3. ვინ ახდენს ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირებას ქართულენოვან ბეჭდურ მედიაში?

მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს პრობლემის მაკონსტრუირებელი სუბიექტი, რადგან სოციალური პრობლემისადმი კონსტრუქცივისტული მიდგომა, რომელიც პრობლემატიზაციას ინტერესთა კონფლიქტის კონტექსტში აღიქვამს და განიხილავს, როგორც მოთხოვნის წაყენების პროცესს, მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ ხდება პრობლემის კონსტრუირება, და მოთხოვნის გაჟღერება, არამედ იმასაც, თუ ვინ ახდენს მის კონსტრუირებას, ანუ ვინ არის მომთხოვნი მხარე.

განხილულ ლიტერატურაზე დაყდრნობით ჩამოვყალიბებ კვლევის ჰიპოთეზებს:

1. ქალური ჰომოსექსუალობა რაოდენობრივად უფრო ნაკლებად არის წარმოდგენილი ქართულ ბეჭდურ მედიაში, ვიდრე მამაკაცური ჰომოსექსუალობა და წარმოადგენს უფრო უხილავ იდენტობას.
2. ქალური ჰომოსექსუალობა ქართულ ბეჭდურ მედიაში წარმოჩენილია სოციალურ პრობლემებთან კავშირში და კონსტრუირებულია, როგორც სოციალური პრობლემა
3. ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის წარმოჩენა პრესაში უმეტესწილად ხდება თავად მედია-საშუალებების წარმომადგენლების მიერ.

## მეთოდი

კვლევის მეთოდად ავირჩიე კონტენტ ანალიზი. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა ინფორმაციის წყაროს დოკუმენტები წარმოადგენს. სოციოლოგიაში დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი ჩანაწერი, ქალაქდზე, აუდიო, ფოტო თუ ვიდეოფირზე ჩაწერილი ინფორმაცია. ჩემს შემთხვევაში ეს არის საგაზეთო პუბლიკაციები.[22]

დოკუმენტების ანალიზი შეიძლება მოხდეს როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მიდგომით. რაოდენობრივი ანალიზი გამოიყენება, როცა დოკუმენტების დიდ მასივთან გვაქვს საქმე და გვჭირდება ტექსტური ინფორმაციის რაოდენობრივ მაჩვენებელში გადაყვანა, რათა უფრო ზუსტად მოხდეს ამა თუ იმ მახასიათებლების სიხშირის დათვლა, ხოლო თვისებრივი ანალიზი გვაძლევს საშუალებას ლატენტური აზრის, კოდირებული მნიშვნელობების გამომზეურებისა, რაც არანაკლებ მნიშვნელობავენია, როდესაც ისეთ კულტურულ კონსტრუქტთან გვაქვს საქმე, როგორცაა სექსუალობა. წარმოდგენილ კვლევაში ორივე მიდგომა გამოვიყენე.

ჟურნალ გაზეთებში არის როგორც ტექსტუალური, ასევე ვიზუალური მონაცემებიც. უნდა აღვნიშნო, რომ წარმოდგენილ კვლევაში შემოვიფარგლე მხოლოდ ტექსტუალური მონაცემების ანალიზით.



## შედეგის პრინციპი

კვლევის ჩასატარებლად შევარჩიე პოპულარული პრესა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-გასართობი სტილის მაღალტირაჟიანი ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც არ არის განკუთვნილი სპეციფიური აუდიტორიისთვის და რომლის დაფარვის ზონა არის მთელი საქართველო. მათი ფასი ყველა სოციალური ფენისთვის ხელმისაწვდომია და სტატიები გათვლილია ფართო აუდიტორიაზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მკითხველიც იღებს მონაწილეობას მედია-კომუნიკაციის პროცესში და გარკვეულწილად განაპირობებს იმას, თუ რა და როგორ განიხილება პრესის ფურცლებზე. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე კვლევისთვის შემერჩია ისეთი პრესა, რომელსაც დიდი რაოდენობის მკითხველი ყავს და რომლის ტექსტების და მათში წამოჭრილი პრობლემების კონსტრუირებაში ფართო აუდიტორია იღებს მონაწილეობას.

ზემოთ აღწერილი პრინციპით შევარჩიე შემდეგი ბეჭდვითი საშუალებები:

## გაზეთები

1. გაზეთი “რეზონანსი” (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოიცემა კვირაში ხუთჯერ. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. ტირაჟი – 4-5000. პოლიტიკური თვალსაზრისით შედარებით ნეიტრალურია.);
2. გაზეთი “24 საათი” (ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. გამოიცემა შედარებით მცირე ტირაჟით. პოლიტიკური თვალსაზრისით შედარებით ნეიტრალურია.);
3. გაზეთი “ახალი თაობა” (ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. );
4. გაზეთი «ალია» (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის კვირაში სამჯერ. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. );
5. გაზეთი “ასავალ-დასავალი” (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის კვირაში ერთხელ. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. ოპოზიციური პრესა).

## ჟურნალები

- 1 ჟურნალი «სარკე» (ყოველკვირეული საზოგადოებრივი-გასართობი ჟურნალი. დაფარვის ზონა – მთელი საქართველო. ერთ-ერთი ყველაზე მაღალტირაჟიანი გამოცემა საქართველოში);
- 2 ჟურნალი «რეიტინგი» - (ყოველკვირეული საზოგადოებრივი-გასართობი ჟურნალი. დაფარვის ზონა – საქართველო);
- 3 ჟურნალი «გზა» - (ყოველკვირეული საზოგადოებრივი-გასართობი ჟურნალი. დაფარვის ზონა – საქართველო);
- 4 ჟურნალი “თბილისელები” (ყოველკვირეული საზოგადოებრივი-გასართობი ჟურნალი. დაფარვის ზონა – საქართველო);

თვითონ სტატიების შერჩევის პროცესში ვკითხულობდი ტექსტებს როგორც ლესბოსელების, ასევე ზოგადად ჰომოსექსუალობისა და მამაკაცური ჰომოსექსუალობის შესახებ. შერჩევაში ჩავრთე ის სტატიებიც, რომლებიც უშუალოდ არ ეხებიან ჰომოსექსუალობას, ან ჰომოსექსუალებს, მაგრამ სადაც ეს ტერმინი გამოიყენება აქცენტებისთვის, ან განწობის შესაქმნელად.

**კვლევის შედეგები და ანალიზი**

საწყის ეტაპზე მოვახდინე შეკრებილი სტატიების კლასიფიკაცია, გამოვყავი სტატიები მამაკაცურ ჰომოსექსუალობაზე, ქალურ ჰომოსექსუალობაზე და ის სტატიები, რომლებიც ზოგადად ჰომოსექსუალებს ეხებოდა, სადაც იგულისხმებოდა ორივე, როგორც ქალი ასევე მამაკაცი ჰომოსექსუალები და სტატიები, სადაც ასევე ჰომოსექსუალობაზე იყო საუბარი, მაგრამ მხოლოდ მამაკაც ჰომოსექსუალებს გულისხმობდნენ. ქვემოთ ცალკე-ცალკე გამოვყოფ იმ საკითხებს, რომელზეც გავამახვილე ყურადღება შეგროვებული მასალის ანალიზისას.

**ქალური ჰომოსექსუალობის უხილავობის საკითხი**

როგორც რაოდენობრივმა ანალიზმა უჩვენა, 2008-2009 წლების პუბლიკაციებში სულ 272 სტატიაში იყო საუბარი ჰომოსექსუალობაზე. აქედან ქალური ჰომოსექსუალობა ნახსენებია 55 სტატიაში, რაც მთელი შეგროვებული მასალის 20%-ს წარმოადგენს.

დანარჩენი 80% (217 სტატია) არის სტატიები მამაკაცი ჰომოსექსუალების, ან მამაკაცური ჰომოსექსუალობის ირგვლივ, სადაც მათ იხსენიებდნენ ტერმინებით “ცისფერი” “პიდარასტი” “გეი”. ასევე იყო სტატიები, სადაც არ ხდებოდა ასეთი დაკონკრეტება, მაგრამ შინაარსიდან ჩანდა, რომ იგულისხმებოდნენ მხოლოდ მამრობითი სქესის ჰომოსექსუალები. აღსანიშნავია, რომ ტერმინი ჰომოსექსუალი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ტერმინია და გულისხმობს, როგორც მამაკაცურ ასევე ქალურ ჰომოსექსუალობას, ხშირად მხოლოდ მამაკაცური ჰომოსექსუალობის აღმნიშვნელად გამოიყენება, მაგალითად, სტატია სათაურით; “ჰომოსექსუალები სპერმას ვერ ჩააბარებენ” (გაზეთი “ალია” #115, 18-19 სექტემბერი, 2008 წ.).

მიღებული რაოდენობრივი სხვაობა ადასტურებს ჩემს მოლოდინს ლესბოსელების უხილავობის შესახებ, მაგრამ გადავწყვიტე თვისებრივად გამეანალიზებინა, რომ დამენახა რეპრეზენტაციის შინაარსობრივი განსხვავებაც ხილვადობის თვალსაზრისით. დისკურსის შინაარსზე დაკვირვებამ მომცა გარკვეული მიმართულება, რომ ამეხსნა, თუ რატომ არის ასეთი სხვაობა მამაკაცი და ქალი ჰომოსექსუალების რეპრეზენტაციის სიხშირეებს შორის.

პრესაში გამოქვეყნებულმა ტექსტებმა მიჩვენა, რომ ქალ ჰომოსექსუალებზე არსებული მასალის სიმცირე შეიძლება განვიხილოთ, როგორც მარგინალიზაციის ერთ-ერთი ფორმა და ქალი ჰომოსექსუალების, როგორც სოციალური ჯგუფის იგნორირების ხერხი. ერთ-ერთ სტატიაში სათაურით “გაგიჟებული ქართველები და ორიენტაციადაკარგული ადამიანები” (ჟურნ. “გზა”, # 45, 6.11.2008 წ.) შემთხვევითი რესპონდენტი აპროტესტებს ჟურნალისტის ამ თემით დაინტერესებას და ამბობს: “როგორ შეიძლება ასეთებზე ილაპარაკოთ?! პირიქით, მსგავს ადამიანებს იგნორირება უნდა გაუკეთოთ და მათ შესახებ რაც ნაკლები ინფორმაცია გაჟონავს, მით უკეთესი ჩვენი შვილებისთვის.” მოგვიანებით კი დასძენს “მათ პრობლემებზე ამ უსირცხვილო ადამიანების ახლობლებმა იფიქრონ, ჩვენ რა შუაში ვართ?!” მამასადადეგ იგნორირება შეგვიძლია ჩავთვალოთ მარგინალიზაციის ერთ-ერთ ხერხად.

ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს, როგორც ზემოთ განხილული ლიტერატურიდანაც გამოიკვეთა, ზოგადად ქალის უხილავობა მასკულინურ კულტურაში, ორმაგი სტანდარტი, რომელიც ქალისა და მამაკაცის სექსუალობას განსხვავებულად განიხილავს. ის, რომ ქალის სექსუალობა მხოლოდ პროკრეაციულ და ოჯახის კონტექსტში განიხილება, ხოლო ლესბოსური ურთიერთობა, რომელშიც არ ფიგურირებს მამაკაცი და არ ემსახურება რეპროდუქციას, შეიძლება იყოს დროებითი პერიოდი ქალის ცხოვრებაში, რომელიც სავარაუდოდ ჩაივლის და შესაბამისად არ უნდა აღიქმებოდეს დიდ პრობლემად საზოგადოებისთვის.

მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში ჟურნალისტის კითხვაზე: “რას ფიქრობთ ლესბოსური სიყვარულის შესახებ?” რესპონდენტი პასუხობს, რომ “ქალური ჰომოსექსუალიზმი უმეტეს შემთხვევაში მძიმე შედეგებით არ მთავრდება, რადგან ლესბოსელთა უმეტესობა ქალად რჩება, ოჯახის შექმნა და შვილის გაჩენა შეუძლია.” რესპონდენტი თვლის, რომ ეს “სამარცხვინოა და დასაგმობია”, მაგრამ იქვე დასძენს, რომ “წინა პლანზე მაინც მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმია, როგორც განსაკუთრებით საშიში”. (გაზეთი “ქრონიკა”, #31, 4-10 აგვისტო, 2008 წ.) ის, რომ რესპონდენტი ქალურ ჰომოსექსუალობას “ნაკლებ პრობლემატურად” აღიქვამს, მთლიანად დამყარებულია ქალური სექსუალობის უგულვებელყოფაზე, ქალის ფუნქციონალურ-როლურ კონტექსტში განხილვაზე. რესპონდენტი ფაქტიურად უარყოფს ქალი ჰომოსექსუალების, როგორც სოციალური ჯგუფის არსებობას, რადგან მისი მსჯელობის თანახმად, ადრე თუ გვიან ყველა მათგანი ჰეტერონორმატულ ჩარჩოებში ექცევა და “ქალად რჩება”. რაც ადასტურებს ჩემს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ლესბოსელი/ბისექსუალი ქალები უფრო უხილავები არიან, ვიდრე მამაკაცი ჰომოსექსუალები.

**ქალური ჰომოსექსუალობის კავშირი სოციალურ პრობლემატთან**

კვლევის შემდეგ ეტაპზე მოვახდინე მხოლოდ იმ სტატიების ანალიზი, რომლებიც ქალურ ჰომოსექსუალობას ეხებოდა (55 სტატია). დამაინტერესა იმ სტატიებში, რომელიც მთელი შერჩეული მასალის 20 %-ს შეადგენდა, იყო თუ არა ქალური ჰომოსექსუალობა წარმოდგენილი, როგორც სოციალური პრობლემა.

ამის დასადგენად გადავწყვიტე დავკვირვებოდი, ხდებოდა თუ არა ქალური ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაცია ისეთ სოციალურ პრობლემებთან კავშირში, როგორცაა ნარკომანია, სუიციდი, კრიმინალი და სხვა.

რაოდენობრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ გასაანალიზებელი მასალის

80%-ში (44 სტატია) ქალური ჰომოსექსუალობა სოციალურ პრობლემებთან კავშირში განიხილება.

დარჩენილი 20% (11 სტატია), სადაც ასეთი კავშირები არ შემხვედრია, გახლდათ ბიოგრაფიული მონაცემები, მაგალითად “ფრიდა ბისექსუალი გახლდათ, ურთიერთობა კაცებთანაც ჰქონდა და ქალებთანაც და ამის შესახებ დიეგომაც იცოდა.” (ჟურნალი “სარკე“, #5, 4-10 თებერვალი, 2009 წ.); სტატიები სამეცნიერო სიახლეებზე, მაგალითად, სტატია “სექსთა ვირტუალური ბრძოლა მწვავდება”, სადაც საუბარია იმაზე, რომ ‘კომპიუტერული თამაშების მოყვარულ ქალთა შორის, მეცნიერების აზრით, ესეც საინტერესო და ხელჩასაჭიდაა, ანუ, მეცნიერებს იშველიებენ, რომ უფრო მყარი და წონიანი იყოს არგუმენტი, ერთგვარი ავტორიტეტის როლს ასრულებს ბისექსუალთა რიცხვი ხუთჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საზოგადოების დანარჩენ ნაწილში” (გაზ. “ახალი თაობა”, 2008 წლის 25 დეკემბერი); ანუ ის სტატიები, სადაც არის საუბარი ქალურ ჰომოსექსუალობაზე, მაგრამ ეს საუბარი არ ატარებს შემფასებლურ ხასიათს ქალი ჰომოსექსუალების, როგორც სოციალური ჯგუფის, არც ამ იდენტობის მატარებელი რომელიმე კონკრეტული ადამიანის, ან ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური მოვლენის მიმართ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, შერჩეული სტატიების 80% სოციალურ პრობლემებთან კავშირში განიხილავს ქალურ ჰომოსექსუალობას. ეს შედეგი ადასტურებს მეორე ჰიპოთეზას ბეჭდური მედიის მიერ ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირების შესახებ.

დამაინტერესა, თუ რა კონტექსტში ხდება ქალური ჰომოსექსუალობის სოციალურ პრობლემებთან დაკავშირება და რა ტიპის სოციალური პრობლემები ქარბობენ ქალური ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაციის დროს. გადავწყვიტე დარჩენილ 44 სტატიაში დავკვირვებოდი ამ კავშირებს.

როგორც ვიცით, კონტენტ ანალიზი რამოდენიმე დონეზე შეიძლება ჩატარდეს, როგორც ცალკეული სიტყვებსა და ტერმინებში გამოხატული ცნებების დონეზე, ასევე შინაარსობრივი აზრების დონეზე. იმის გამო, რომ ერთ სტატიაში რამოდენიმე სახის სოციალურ პრობლემასთან კავშირი ერთად იყრიდა თავს, კვლევის ერთეულად ამ ეტაპიდან ჩავთვალე არა სტატია, არამედ შესიტყვება, ან ფრაზა, ან დასრულებული აზრი, რომელიც სოციალურ პრობლემასთან კავშირს ასახავს. 44 სტატიაში დავითვალე ასეთი 50 ერთეული. აქედან 56% ასახავდა ღირებულებით კონფლიქტურ პრობლემებთან კავშირს, ხოლო 44% დევიაციურ ქცევებთან აკავშირებდა ქალურ ჰომოსექსუალობას. ქვემოთ შემოგთავაზებთ ღირებულებით-კონფლიქტური პრობლემებისა და დევიაციური ქცევების ქალურ ჰომოსექსუალობასთან დაკავშირების მაგალითებს და მათ თვისებრივ ანალიზს.

### **კავშირი დევიაციურ ქცევებთან**

დევიაციურ ქცევებში ვგულისხმობ ისეთ სოციალურ პრობლემებს, როგორცაა კრიმინალური ქმედებები, ნარკომანია, სუიციდი და სხვა. ერთ-ერთ სტატიაში, მოწვეული ექსპერტი, პროფესიით სოციოლოგი პირდაპირ აკავშირებს ჰომოსექსუალობას კრიმინალთან და განიხილავს მათ, ერთ კონტექსტში, როგორც დევიაციურ ქცევებს: “დამნაშავეებიდან დაწყებული, ნებისმიერი გადახრა, მათ შორის, ლესბოსური სიყვარული და მამაკაცთა პედერასტია, ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიას განეკუთვნება”; “გეგმაში მქონდა თვითმკვლელობის, ჰომოსექსუალიზმისა და პროფესიული დამნაშავეობის, ანუ ქურდული სამყაროს შესწავლა, მაგრამ ვერ მოვასწარი. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირში პირველმა შევისწავლე ქალთა დამნაშავეობა და პროსტიტუცია”(გაზ. “ქრონიკა”, # 31, 2008 წელი, 4-10 აგვისტო).

შემხვდა ლესბოსელის, როგორც მანიაკის, მკვლელის, სექსუალური მოძალადის წარმოჩენის შემთხვევები. მაგალითად სტატიაში “მანიაკი მოკლული ქალების თმისგან თილისმებს აკეთებდა” საუბარია ამერიკაში დაკავებულ ქალზე, რომელიც “ლესბოსელი იყო, თავის მსხვერპლზე ჯერ სექსუალურად ძალადობდა, შემდეგ მათ ნაჯახით ჩეხავდა და სხეულის ნაწილებს კანალიზაციაში ყრიდა.” ( ჟურნალი “თბილისელები”, #14, 31 მარტი - 6 აპრილი, 2008 წ.) ასეთივე სიმძაფრითაა აღწერილი ჟურნალ “თბილისელების” ერთ-ერთ მომდევნო ნომერში დაბეჭდილ სტატიაში “ლესბოსელ ქალთა ორდენი” ორგია, სადაც სტატიის მიხედვით, თორმეტი ლესბოსელი მონაწილეობდა. სტატიაში ვკითხულობთ “წითლად განათებულ ოთახში ბუხარი გიზგიზებდა და ნოხებით მოფენილ იატაკზე თორმეტი შიშველი ქალი ერთმანეთის სიყვარულით იყო დაკავებული.

კაკაურიძე უკან გაბრუნებას აპირებდა, როდესაც თავში მძიმე საგანი მოხვდა და გრძნობა დაკარგა. თვალი რომ გაახილა, ის უკვე გაკოჭილი იყო. მის ირგვლივ კი თორმეტი ლესბოსელი ტრიალებდა.

\_მიდი, ვეროჩკა, ჩვენი ნაჯახი მოიტანე! \_ უბრძანა კრისოვას მადლენა აგუძერაშვილმა” ტექსტში ლესბოსელები მოხსენებულნი არიან როგორც სატანისტები, აღწერილია ინცესტის სცენა, სადაც “დებ ლესბოსელებს ერთმანეთთან გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი ჰქონდათ”, ტექსტი საკმაოდ დრამატულია და აღქაჯების შესახებ ზღაპარს ჩამოგავს. (ჟურნ. „თბილისელები“, # 27, 2008, 30 ივნისი – 6 ივლისი )

ლესბოსელის, როგორც სექსუალური მოძალადის სახე გვხვდება გაზეთ “ქრონიკა”-შიც სადაც სტუდენტი ყვება, როგორ განიცდიდა სექსუალურ ზეწოლას ლექტორის მხრიდან, როგორც ჟურნალისტის, ასევე რესპონდენტისა და მთელი სტატიის ფოკუსი მიმართულია არა თვითონ სექსუალური ზეწოლის ფაქტისკენ, არამედ ყურადღება მთლიანად “მოძალადის” სექსუალურ



ორიენტაციაზეა გამახვილებული. სტატიის მთავარ თემას ლექტორი ქალის ჰომოსექსუალური ორიენტაცია წარმოადგენს, და ჟურნალისტის შეშფოთების მთავარი მიზეზიც სწორედ ეს არის, იგივე ქმედებას მამაკაცის მხრიდან იგი საგანგაშოდ არ მიიჩნევს, და ამას ცხადად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე აცხადებს სტატიის დასაწყისში: “ლექტორი ახალგაზრდა მამაკაცი რომ ყოფილიყო, ალბათ საგანგაშო არაფერი იქნებოდა, მაგრამ გოგონას ლესბოსელმა პედაგოგმა დაადგა თვალი.” (გაზეთი “ქრონიკა”, #47, 24-30 ნოემბერი, 2008 წ.) ეს არის ორმაგი მორალის ილუზორტრაცია, რომელიც უფრო შემწყნარებლურია ძალადობის ფაქტის მიმართ, როდესაც მოძალე მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო ძალადობა ჰეტეროსექსუალური ქცევის ფარგლებში ხორციელდება.

რაც შეეხება სუიციდს, და ნარკომანიას აქაც ჭარბადაა მაგალითები: “არიან თუ არა “ემოები” ბისექსუალები და ანიჭებთ თუ არა მათ სიამოვნებას ვენების გადაჭრა” (ჟურნალი “თბილისელები”, #15, 7-13 აპრილი, 2008.), “ლესბოსელმა ლინდსი ლოჰანმა თვითმკვლელობა სცადა” (გაზეთი “ქრონიკა”, #39(353) 29 სექტემბერი-5 ოქტომბერი, 2008 წ.), “ლინდსი ლოჰანმა ისევ ნარკოტიკების მოხმარება დაიწყო” (გაზეთი “ქრონიკა”, #9 (376), 2-8 მარტი, 2009 წ.), ლინდსი ლოჰანზე, რომელიც მსახიობია, და ცნობილ სახეს წარმოადგენს, და არის ერთგვარი პერსონალიზაცია ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემისაც მრავლადაა სტატიები, სადაც მუდმივად ხდება დევიაციური ქცევების დაკავშირება მის სექსუალურ ორიენტაციასთან. ძირითადად ეს სტატიები ცინიკური ტონითაა დაწერილი, და ხშირად ჟურნალისტების ცინიზმი ეხება არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ მთელს “გარყვნილ დასავლეთს” ან ამერიკას, სადაც ჰომოსექსუალობა “მოდად იქცა”. მაგალითად, კვლავ ლინდსი ლოჰანის შესახებ დაწერილ სტატიას ჟურნალისტი ამგვარ შესავალს უკეთებს: “მოდად ქცეული ჰომოსექსუალიზმი ამერიკაში იმდენად ღრმად იკიდებს ფეხს, რომ ერთი შეხედვით ყველაზე უწყინარი ადამიანიც ისე განაცხადებს მისი უგზო-უკვლო ორიენტაციის გენიალურია! შესახებ, რომ წარბიც არ შეუტოკდება.” (გაზ. “ალია”, #113, 13-15 სექტემბერი, 2008 წ.) სუიციდთან კავშირი გვაქვს იმ სტატიებშიც, რომლებიც საქართველოს ეხება, მაგრამ თუ მოქმედება საქართველოში ხდება, პრობლემატიზაცია უფრო მძაფრად მიმდინარეობს და ცინიზმს დრამატული ტონი ცვლის, მაგალითად სტატიაში “სიონთან სატანისტური რიტუალი ჩატარდა?” ვკითხულობთ “აბსოლუტურად შიშველი ქალები სცენაზე ცეკვავდნენ, ხოლო პირდაპირ მიწაზე მიდიოდა სექსუალური აქტი და ეს ხდებოდა ხალხის თვალწინ. მოვიდნენ გოგონები და პირდაპირ განაცხადეს, ჩვენ ლესბოსელები ვართო.” შემდეგ ისინი ასევე მოხსენებულნი არიან, როგორც სატანისტები, და თვითმკვლელობის მქადაგებლები: “საერთოდ, სატანისტები ქადაგებენ თვითმკვლელობას. იმ ახალგაზრდას აბრუებდნენ, აძინებდნენ და კაცმა არ იცის, რას უკეთებდნენ. თურმე, სატანისტები ვენებს იჭრიან, ერთმანეთს მერე სისხლს უსხამენ” (გაზ. “ალია”, # 135, 4-5- ნოემბერი, 2008 წ.) სატანასთან და სატანისტებთან კავშირი ერთის მხრივ რელიგიასთან დაპირისპირებას ასახავს, და სექსუალურად აქტიური ქალის “ავხორცობაზე” მიუთითებს, რაც ეშმაკისეულ მანკიერებად ითვლება.

### **კავშირი ღირებულებით-კონფლიქტურ პრობლემებთან**

რაც შეეხება ღირებულებით-კონფლიქტურ პრობლემებს, აქ გამოიკვეთა დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც ხშირად გადაჯაჭვული იყო პატრიოტიზმთან და ერის გამრავლების საკითხთან, ზოგჯერ კი მთლიანად კაცობრიობის გადამწენების შიშთან, ასევე გამოვლინდა რელიგიასთან შეუთავსებლობის პრობლემა, კონფლიქტი ეროვნულ ტრადიციებთან და ღირებულებებთან და მათთან დაპირისპირებული დავასვლეთი, როგორც მტრის ხატი.

რელიგიასთან შეუთავსებლობის პრობლემა გვხვდება სტატიაში “სიონთან სატანისტური რიტუალი ჩატარდა” სადაც აღწერილია ჰელოუინზე შეკრებილი ახალგაზრდობა, ხაზგასმულად



არიან ნახსენები ლესბოსელები, თხრობა მათ აფასებს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ სატანისტურ დაჯგუფებას, რომლის უკან “დღას დასავლეთი, უფრო ამერიკა” და რომლებიც უპირისპირდებიან ეკლესიას. სტატიაში ვკითხულობთ: “დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა ეფუძნება კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ამდენად, ვინც ეკლესიას ებრძვის, ის ებრძვის სახელმწიფოს და მისი ადგილი, არის ციხეში.” (გაზ. “ალია”, # 135, 4-5- ნოემბერი, 2008 წ.)

კიდევ ერთი მაგალითი ღირებულებით-კონფლიქტურ პრობლემებთან კავშირისა არის გაზეთ “ასავალ-დასავალში” გამოქვეყნებული სტატია სათაურით “სანამ თბილისის თავზე ცისფერი დროშა აფრიალებულა”, სადაც ვკითხულობთ: “ქართულ სულიერებას, ეროვნულობას, ტრადიციას და მართლმადიდებლობას, არამარტო სააკაშვილის ხელისუფლება და მისი უცხოტომელი ბატონ-პატრონები უქადიან საფრთხეს, არამედ \_ პედერასტების, ლესბოსელებისა და ბისექსუალების მთელი არმია მათი საზღვარგარეთელი პატრონებით და დამფინანსებლებით.” (გაზ. ასავალ-დასავალი, 12-19 იანვარი 2009წ). როგორც ვხედავთ, პრობლემატიზაცია ხდება ჰომოსექსუალობის დაკავშირებით დასავლეთიდან მომავალ საფრთხესთან, რომელიც ემუქრება რელიგიას და ეროვნულ ფასეულობებს. საიტერესოა, რომ სტატია იბეჭდება რუბრიკაში სახელწოდებით “ფუი ემშაკს”, რაც, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ჰომოსექსუალობის ემშაკთად და სატანიზმთან გაიგივების პირველი მაგალითი არ არის.

ღირებულებით-კონფლიქტურ კონტექსტში განიხილება ქალური ჰომოსექსუალობა და ზოგადად ჰომოსექსუალობა სტატიაში “ცეკვას გვასწავლიან, სადაც აქცენტი ეროვნულ ტრადიციებზე კეთდება და ამ ტრადიციებთან დაპირისპირებულ დასავლეთზე. ჟურნალისტი ყვება, თუ როგორ დაიწერა ჯვარი სიღნაღში შავკანიანმა წყვილმა. ტექსტში ქსენოფობურ და რასისტულ ფრაზებს მოსდევს ჰომოფობური ფრაზები, როგორცაა “რა, ტურისტული ინდუსტრია უარს იტყვის პედერასტების “ჯვრისწერაზე”?! “პედერასტები და ლესბოსელები ხომ ისეთი რომანტიკულები არიან, ძლიერ უყვართ ეგზოტიკა, ხელთუპყრელი გარემო,” “მე თქვენ გეტყვით, ცივილიზებულ მსოფლიოში პედერასტების, ლესბოსელებისა, მათხოხისტებისა თუ სხვა დეგენერირებული არსებების ნაკლებობაა!..” “ქართული მარადიული ტრადიციები ჩვენ ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისთვის გვჭირდება და არა ტუტუცური “ბითურ-მოუების” გასაფორმებლად!” (გაზ. “ასავალ-დასავალი”, 2008 წლის 2-8 ივნისი, # 22)

მსგავსი კონტექსტი გვხვდება სტატიაში “როგორ აბამენ მახეში გამოუცდელ ბიჭებს ჰომოსექსუალები”, აქაც დასავლეთი არის წარმოჩენილი, როგორც ჰომოსექსუალობის წყარო, სტატიაში ვკითხულობთ: “მას შემდეგ, რაც ქართველმა პოლიტიკოსებმა მზერა დასავლეთს მიაპყრეს, ჩვენს ქვეყანაში ჰომოსექსუალისტთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ესეც ძალიან მაგარია! “ლესბიანკებმა” და “გომიკებმა” თბილისში თავიანთი კლუბი გახსნეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ალღუმის მოწყობაც კი დააპირეს.” სტატიის ბოლოს კი მოწვეული სტუმარი აცხადებს: “საბედნიეროდ, ქართული საზოგადოება ჯანსაღია და ჰომოსექსუალიზმის აღზევებამ ხალხის აზროვნება ვერ შეცვალა. დამოკიდებულება ამ მოდური მანკიერების მიმართ მკაცრად ნეგატიურია. რა საჭიროა, ცუდი მაგალითი გადმოვიღოთ სხვებისაგან? წამბამველობა ამ საკითხში განსაკუთრებით ისეთი პატარა, ტრადიციული ქვეყნისთვის, როგორც ჩვენია, სავალალო შედეგით დამთავრდება...” და იქვე ჩნდება დემოგრაფიულ პრობლემასთან კავშირიც, \_ “ქართველებმა ერის გამრავლებაზე უნდა იზრუნონ”. (გაზ. “ქრონიკა”, # 31, 2008 წელი, 4-10 აგვისტო ). როგორც მაგალითიდანაც ჩანს ხდება დასავლეთის ნეგატიურად წარმოჩენა და “გარყვნილ” დასავლეთთან ქართული ტრადიციების დაპირისპირება. მედიატექსტების მიხედვით ყველაფერი ცუდი, მათ შორის ჰომოსექსუალობაც დასავლეთიდან მოდის, ქართველი ზოგადად სუფთა, პატიოსანი და ბრძენია

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დემოგრაფიულ პრობლემა არა მხოლოდ ერის გამრავლების, არამედ კაცობრიობის გადაშენების საკითხთან კავშირშია წარმოდგენილი სტატიაში “სექსუალურად ორიენტირებული ტერორი” ვკითხულობთ: “ერთობ გადამდები სენის – ჰომოსექსუალობის პანდემია გადაგვარება-გადაშენებით გვემუქრება”, “თუ ჩვენ, ანუ ჰეტეროსექსუალებმა არ ვიფიქრეთ ადამიანის მოდემის მომავალზე, მაშინ გინდა ბირთვულ იარაღს მოვუსპივართ და გინდა ჰომოსექსუალებს გადავუშენებოვართ.” “ორიენტაცია თუ გადახრა, ნორმა თუ პათოლოგია, ბიოლოგიური შეცდომა თუ სიმახინჯე, ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება – ეს მოვლენა ერთობ საშიშია კაცობრიობისათვის, მისთვის სახელის არასწორი შერჩევა კი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – ამ მოვლენის მიმდევრებისთვის ხელფეხის გახსნას, მათთვის ისეთი უფლებების მინიჭებას, რაც კაცთა მოდემის გადაშენებას დააჩქარებს, თანაც არა ურთიერთამოხოცვის გზით, არამედ. პირადი ნებით, გამრავლებაზე უარის თქმით, ანუ თვითმკვლელობის გზით.” “თუ ასე გაგრძელდა, დასავლეთის (პირველ რიგში) ცივილიზაცია სულ მალე დადგება გადაშენების პრობლემის წინაშე” “ტერორიზმის მსგავსად, დღევანდელ ჰომოსექსუალიზმსაც. მისი მასშტაბების და შედეგების გათვალისწინებით შეიძლება “სექსუალური ტერორიზმი” ან “ცისფერი ჭირი” ეწოდოს.”

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სოციალური პრობლემები. ლიტერატურის მიმოხილვაშიც აღვნიშნე, რომ ღირებულებით კონფლიქტურ მიდგომის მთავარი თავისებურება არის ის, რომ პრობლემა განიხილება როგორც მორალური კატეგორია, რომელიც ირეკლავს კონკრეტული ჯგუფის ზნეობრივ თუ მენტალურ თავისებურებებს. ამდენად შეუსაბამობა რელიგიასთან, ეროვნულ ტრადიციებთან, დასავლეთის მორალური ექსპანსია და მათთან მიბმული ქალური ჰომოსექსუალობაც, შეგვიძლია ჩავთვალოთ სოციალური პრობლემად, რადგან საქმე გვაქვს ღირებულებითი კონსენსუსის რღვევასთან და ვთქვათ, რომ ქართული ბეჭდური მედია ახდენს ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირებას.

მაშასადამე პასუხი მეორე კვლევით კითხვაზე, ადასტურებს ჩემს ჰიპოთეზას და გვიჩვენებს, რომ ქალური ჰომოსექსუალობა კონსტრუირებულია, როგორც სოციალური პრობლემა, და ეს კონსტრუირება ხდება სხვადასხვა სოციალურ პრობლემებთან კავშირის გზით. მაგრამ არ გვიჩვენებს, თუ ვინ ახდენს ამ პრობლემატიზაციას, ანუ ვინ არის მომთხოვნი მხარე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია პრობლემის კონსტრუქტივისტული მიდგომისთვის.

### **მომთხოვნი მხარე (claim-maker)**

კვლევის პროცესში, იმის მიხედვით, თუ ვინ საუბრობდა ქალურ ჰომოსექსუალობაზე პრესის ფურცლებზე, გამოვყავი შემდეგი ცვლადები :

1. ჟურნალისტი
2. მკითხველი - სადაც შედის ჰეტეროსექსუალური იდენტობის მატარებელი შემთხვევით შერჩეული რესპონდენტი, ანონიმური წერილები და ა.შ.
3. რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი
4. საზოგადოებრივი გაერთიანება - სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები
5. მოწვეული ექსპერტები - სოციოლოგები, ფსიქოლოგები, სექსოლოგები და ა.შ.
6. ცნობილი ადამიანები – მსახიობები, შოუბიზნესის წარმომადგენლები
7. თვითრეპრეზენტაცია – აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც ჰომოსექსუალი ქალი, რომელიც აღიარებს თავის სექსუალურ ორიენტაციას, ახასიათებს ამ მოვლენას, როგორც სოციალურ პრობლემას.

ამ ეტაპზე დავაკვირდი მხოლოდ იმ 44 სტატიას, სადაც ხდებოდა ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირება. შემდეგ რაოდენობრივად დავითვალე, თუ ვინ არის უმეტესწილად ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირების ავტორი. შედეგად მივიღე, რომ კონსტრუირების ავტორთა 63% არის ჟურნალისტი, ან რედაქციის წარმომადგენელი, რამაც დაადასტურა ჩემი მესამე ჰიპოთეზა.

თითქმის ყველა სტატიაში ჟურნალისტის რეპლიკები ნეგატიურ შეფერილობას ატარებდა, მაგრამ 63% არის ის რაოდენობა, როდესაც იგი ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირებას ახდენს, ხშირად ამას რესპონდენტთან ერთად აკეთებს, ან საუბარს აძლევს მსგავს მიმართულებას. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ჟურნალისტი იშვიათად ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას და თუ თვითონ არ აკეთებს ჰომოფობურ განცხადებებს, მაშინ ეთანხმება მათ ავტორებს. მაგალითად, სტატიაში “სიონთან სატანისტური რიტუალი ჩატარდა” (გაზ. “ალია”, # 135, 4-5- ნოემბერი, 2008 წ.) ჟურნალისტი სტატიის დასაწყისშიც არის ტენდენციური და იყენებს ისეთ შემფასებლურ სიტყვებს და ფრაზებს როგორცაა: “საშინელება”, “ვითომ უწყინარი საზოგადოება”, რესპოდენტების საუბრის შემდეგ კი დასკვნის სახით ამბობს “ამაზეა ნათქვამი, – “ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა...” დანარჩენს აღარ გავაგრძელებ... კარგად ბრძანდებოდეთ!” ფრაზა რომელიც ჟურნალისტმა არ გააგრძელა არის ნაწყვეტი ლექსიდან, რომელიც გრძელდება ასე: “აქ ჯემალიმ ჯონდო დააორსულა” აქვე მინდა აღვნიშნო ცინიკური რეპლიკები, ხშირად სათაურადაა გამოტანილი “პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ქალბატონი საკუთარ ორიენტაციაში აიბლანდა”( გაზ. “ალია”, #115, 18-19 სექტემბერი, 2008 წ.), “მოდაა თუ რა არის, ძნელი სათქმელია, მაგრამ მთელი ამერიკული “ცვეტნოი სასტავი” რომ ორიენტაციას აჯაფსანდალივით ურევს ფაქტია.”( გაზ. “ალია”, #115, 18-19 სექტემბერი, 2008 წ.), “საქართველოში ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების “პარადი” იქნება” (გაზ. “კვირის ქრონიკა”, #3 (369), 19-25 იანვარი, 2009 წ.) და ა.შ.

რაც შეეხება დარჩენილ 37%-ს, ის შემდეგნაირად გადანაწილდა: მკითხველი - 15% შემთხვევით შერჩეული რესპონდენტები, რომლებიც ხშირად ყვებიან ნაცნობებზე, ან მეგობრებზე, ხშირად ეცოდებათ, ან თანაუგრძობენ მათ და პარალელურად საკითხის პრობლემატიზაციასაც ახდენენ, ასევე ის მკითხველები, რომლებიც ძალიან ჰომოფობურად არიან განწყობილნი. ექსპერტი -10 %, ვფიქრობ ამ შემთხვევაში, მოწვეული კომპეტენტური პირისგან ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც პრობლემის დასახვა, განსაკუთრებით უწყობს ხელს სტერეოტიპების განმტკიცებას მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 10%-ში შემხვდა მსგავსი მაგალითები შერჩეული მასალიდან, მაინც მნიშვნელოვანია ამ სოციალური ჯგუფის მარგინალიზაციის თვალსაზრისით. საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენელი -6%, რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი - 4 %, ცნობილი ადამიანები - 2%.

სტატიებში იყო საუბარი პირველი პირიდანაც, ანუ იყო თვითრეპრეზენტაციის მაგალითებიც, როგორცაა: “\_მე სვანი ლესბოსელი ვარ. ხომ წარმოგიდგენიათ, ჩემ შესახებ ვინმემ რომ შეიტყოს, რა მომელის?!. ალბათ, ფეხებით ჩამომკიდებენ და ქვეშ ცეცხლს შემინთებენ. მაგრამ რა ვქნა, საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ...” როგორც ამ მაგალითშიც ჩანს, თვითრეპრეზენტაციაში ხშირად გამოსჭვივის იატაკქვეშიდან გამოსვლის შიში, საზოგადოების შეფასებების შიში, მაგრამ ქალური ჰომოსექსუალობის, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირება თვითრეპრეზენტაციის შემთხვევებში არ შემხვედრია.

## ღასკვნა

მოცემულ კულტურულ პარადიგმაში, რომელიც მასკულიზურ კულტურას წარმოადგენს, და რომელიც გვთავაზობს, როგორც სქესის, გენდერის ასევე სექსუალობის კონსტრუქტებს, სტუარტ ჰოლის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, “ისტორიულად კონსტრუირებული” ცოდნა სექსუალობის შესახებ, ჰეტეროსექსუალობას განიხილავს როგორც სექსუალური ურთიერთობის ერთადერთ მიღებულ ფორმას. ის, რაც ხვდება ჰეტერონორმატულ ფარგლებს გარეთ, არსებულ “მნიშვნელობათა რუკაზე” იკავებს დევიაციის ადგილს.

სექსუალობის და ინტერპერსონალური ურთიერთობების პლურალობის აღიარებამდე საზოგადოება და სისტემა გარკვეულ სახელს არქმევს ისეთ სოციალურ მოვლენას, როგორცაა ჰომოსექსუალობა. ძირითადად ეს სახელდება ხდება სტერეოტიპების, მითების შემუშავებით. ამ პროცესში და ახალი ცოდნის კონსტრუირებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს მედიაც, როგორც მაკონსტრუირებელი ელემენტი. მაგრამ, მეორეს მხრივ მედიაში ასევე აისახება, თუ რამდენად ადვილად ხდება ახალი მნიშვნელობების ინტეგრაცია და რამდენად დრეკადია ესა თუ ის სტრუქტურა, რომ მიიღოს ეს ახალი ცნებები და დეფინიციები, რაც თავისთავად უწყვეტ და შეუქცევად პროცესს წარმოადგენს.

სტერეოტიპის დაშენება სოციალური მოვლენებზე, მითების შექმნა მათ ირგვლივ და თუნდაც პრობლემატიზაცია, არის ახალი მნიშვნელობების ლეგიტიმაციის გზა, ანუ ის გზა, რომელსაც გაივლის ესა თუ ის მოვლენა, ჩვენს შემთხვევაში ქალური ჰომოსექსუალობა მარგინალური იდენტობის ხატიდან ახალი სემანტიკური ზონების აგებამდე, რომელიც მას განიხილავს, როგორც სექსუალურ ორიენტაციას ჰეტეროსექსუალობასთან ერთად და არა მართან დაპირისპირებით.

ის, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო ჰომოსექსუალობის თემის გაშუქება, მიუთითებს ამ თემის ხილვადობის გაზრდაზე. 90-იანი წლებთან შედარებით სტატიების რიცხვი გაზრდილია, ანუ ამ თემაზე უკვე საუბრობენ. ქალური ჰომოსექსუალობის ხილვადობის დონე ამ მხრივ ჩამოუვარდება მამაკაცური ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაციის სიხშირეს, ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ თვალსაზრისით ეს ჯგუფი ორმაგად მარგინალიზებულია, როგორც ჰომოსექსუალები და როგორც ქალი ჰომოსექსუალები. თუმცა ის მასალა, რომელიც მოცემულ კვლევაში გაანალიზდა, გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ამ საკითხზე შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იწერება, ანუ ქართულ მედია-ტექსტებში ხდება ქალური ჰომოსექსუალობის კონსტრუირება და ქართული ჟურნალ-გაზეთები იღებენ მონაწილეობას იმ მნიშვნელობების და დეფინიციების აგებაში, რომელსაც საზოგადოება ამ თემის ირგვლივ წარმოქმნის.

კვლევამ უჩვენა, რომ მასმედიის მიერ ქალური ჰომოსექსუალობის კონსტრუირების პროცესი აბსოლუტურ თანხვედრაშია პატრიარქალურ პრინციპებთან, და იმ სიტუაციურ ლოგიკასთან, რომელსაც სთავაზობს მას ეს სისტემა. ქალისა და მამაკაცის როლურ-ფუნქციონალური დატვირთვა და ის გენდერული თუ სექსუალური ნორმები, რომელიც პატრიარქალური ნორმებია, განიხილება, როგორც “მოცემულობები”, რომელსაც ემყარება მთელი “სიტუაციურ ლოგიკა”. ეს ლოგიკა კი ავტომატურად ახდენს ჰომოსექსუალობის, როგორც არანორმალური, “ალოგიკური”, დევიაციური მოვლენის ინტერპრეტირებას. იგი მას განიხილავს როგორც სოციალურ პრობლემას.

ფუნქციონალური თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს ქალის, როგორც სოციალური ჯგუფის დისფუნქციასთან, ვინაიდან ლესბოსელი ქალი არ ჯდება იმ როლურ პარადიგმაში, რასაც მისგან პატრიარქალური სისტემა ითხოვს. ასევე სახეზეა ღირებულებითი კონსენსუსის რღვევაც, რაც ამ კვლევაშიც გამოჩნდა. ანუ ქალის ფუნქციაში შედის არა მხოლოდ



ბიოლოგიური არამედ იდეოლოგიური და სიმბოლური რეპროდუქციაც. პატრიარქალური ფასეულობების, ტრადიციების კვლავწარმოება, ხოლო ისეთი ქალი, რომელიც არ ითავსებს ამ ფუნქციას ხდება მარგინალიზებული, როგორც საზოგადოებრივი საფრთხე იგი გაიგივებულია კრიმინალთან, სატანისტთან, მტრის ხატთან, რომელიც ძირს უთხრის ეროვნულ ტრადიციებს და განიხილება სოციალური პრობლემის კონტექსტში.

მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს ორი თეორიული მიდგომა სოციალური პრობლემისადმი გვამღევეს საშუალებას პატრიარქალური სტრუქტურის გადმოსახედიდან შევხედოთ ქალურ ჰომოსექსუალობას და პატრიარქალურ სიტუაციურ ლოგიკაზე დაყრდნობით ავხსნათ თუ რატომ ხდება მისი, როგორც სოციალური პრობლემის კონსტრუირება. მაგრამ იმისათვის რომ ფემინისტური პერსპექტივით შევაფასოთ პრობლემატიზაციის პროცესი, საჭიროა პრობლემატიზაციის მიღმა დავინახოთ ინტერესთა კონფლიქტი. პრობლემის ინტერესთა კონფლიქტის ჭრილში განვიხილვა, გვამღევეს საშუალებას დისტანცირება მოვახდინოთ თვითონ პატრიარქალური სტრუქტურისგან, რაც მნიშვნელოვანია ფემინისტური პერსპექტივისთვის. კონსტრუქტივისტული მიდგომა გვთავაზობს, რომ პრობლემა ავხსნათ არა სისტემისა ფუნქციონალური სტრუქტურისა და ამა თუ იმ მოვლენის დაპირისპირების გზით, არამედ როგორც სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერაქციის შედეგი, სადაც როგორც წესი დომინანტური ჯგუფი ხდება პრობლემის მაკონსტრუირებელი მხარე.

მაშინ სავსებით გასაგები და ცხადი ხდება, რომ პატრიარქატის ინტერესებში შედის ჰომოსექსუალური კავშირის პრობლემატიზაცია, მისი, როგორც საფრთხის შემცველი მოვლენის დასახვა. ქართული მედია კი ამ დომინანტური იდეოლოგიის გამტარად და ერთგვარ იარაღად გვევლინება. ინტერესთა კონფლიქტში, იგი დომინანტური ჯგუფის იარაღს წარმოადგენს. მისი საშუალებით ხდება სხვადასხვა მოთხოვნის კონსტრუირება, მათ შორის ქალური ჰომოსექსუალობის პრობლემატიზაციაც, რომელიც ხელს უწყობს ქალი ჰომოსექსუალების მარგინალიზაციის პროცესს. ამას ადასტურებს კვლევის შედეგიც, სადაც გამოჩნდა, რომ მსგავსი კონსტრუირების ავტორი უმეტესწილად თავად მედიასაშუალებების წარმომადგენელი, ჟურნალისტია.

ეს კი, თუ გავითვალისწინებთ მედიის დიდ როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელს უწყობს ქალი ჰომოსექსუალების მარგინალიზაციას, ჰომოფობური განწყობის შენარჩუნებას და ხელს უშლის ჰომოსექსუალი ქალების ინტეგრაციას საზოგადოებაში და ლიბერალური ღირებულებების დანერგვას. იქედან გამომდინარე, რომ კონსტრუქტივისტულ მიდგომაში სოციოლოგს არ ეკისრება ხისტი დამკვირვებლის როლი და ისიც გარკვეული პოლიტიკის გამტარებელია და პრობლემატიზაციის მონაწილედ მოიაზრება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფემინისტური პერსპექტივიდან, სექსისტური და ჰომოფობური მედია შეიძლება შეფასდეს, როგორც ნეგატიური გავლენის მქონე სტრუქტურა და მოხდეს მისი, როგორც სოციალურ პრობლემის კონსტრუირება.

**ლიტერატურის სია**

1. აღდგომელაშვილი ეკა, ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალების რეპრეზენტაცია ქართულ მედიაში, სექტემბერი-დეკემბერი.2005. <http://inclusive-foundation.org/home/?page=publications&lang=ka>
2. ლესლი სტივ, (2007) წმინდა კიზიტოს დანაშაულის კონტექსტი, გაფრინდაშვილი ლელა, გენდერი კულტურა თანამედროვეობა , (235-245) თბილისი, “დობერა”
3. აღდგომელაშვილი ეკა, „უბილავი იდენტობა“, ჟურნალი „მე“ №4
4. წულაძე ლია, აკადემიური წერა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006
5. ჯავახიშვილი ნინო, გენდერულ განსხვავება დაწყვილების პრიორიტეტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006წ.
6. Аристархова. И. От пола к гендеру? опыт анализа секс-дискурсов молодежных российских журналов. (в сб. женщина не существует: современные исследования полового различия : сборник статей\ под ред. и. аристарховой сыктывкар : сыктывкарский университет. 1999. с. 77-116
7. Брайант, Дженнингз, Томпсон, Сузан. Изображение меньшинств и особенности его воздействия, Основы воздействия СМИ.: Пер. с англ. — М.: Издательский дом "Вильямс", 2004. ст 353, глава 19
8. Дьякова Е.Г., Трахтенберг А.Д. Массовая коммуникация и проблема конструирования реальности: анализ основных теоретических подходов. Введение.22.11.2003 14:32 | Михаил Грачев
9. Жеребкина Ирина. Гедерные 90-е или фаллоса не существует. Санкт-Петербург. “Алетейя” 2003
10. Китзингер Дженни , “воздействие” и “влияние” , глава 19 Медия. Уч.посю ЮНИТИ-ДАНА.2005.
11. Куярова П.И., Интерпретация понятия “социальный конструкционизм” в социологии. 2007, вестник самгу. 2007. N 1. (51)
12. Меджерст Энди , Сексуальность, сексуальность в медиатекстах, 22 ст. Медия. Уч.посю ЮНИТИ-ДАНА.2005.
13. Минина В. Н. Социология социальных проблем: аналитический обзор основных концепций. журнал социологии и социальной атроплоггии. 1998. том I, N 3
14. Фуко М. Воля к истине. По ту сторону знания власти и сексуальности. Работы разных лет Пер. с франц.-М.Касталь.1996
15. Ясавеев И.Г., Конструкционистский подход к социальным проблемам. журнал исследований социальной политики. N2 (4)
16. Balder Sara , Colorado Research in Linguistics. June 2005. Vol. 18, Issue 1. Boulder: University of Colorado. 2005
17. Dioli Irene, Female Homosexuality, Patriarchy, and Nationalist Communities, (Transgressing Gender: Two is Not Enough For Gender (E)Quality, The conference collection), 2006
18. Hall, Stuart , Deviance, Politics and Media. The lesbian and Gay Studies Reader, Henry Abelow, Michele Aina, UK, USA, Routledge,1993
19. Hall, Stuart. Encoding/Decoding. in Media Studies:A Reader. ed. P. Morris, S. Thornhem. Edinburgh University Press. 2002
20. Holstein James, Defining Deviance: John Kitsuse’s Modest Agenda, Published online:13 December 2008. Springer Science+Business Media, LLC 2008
21. Kellner Douglas , The Media and Social Problems, (<http://www.gseis.ucla.edu/faculty/kellner/>)
22. Neuman, W. Lawrence. Social Research Methods, Qualitative and Quantitative Approaches. Boston: Allyn and Bacon 1994
23. Quinn Sheila, Forced Out: LGBT People in Georgia, report on ILGA\_Europe/ COC fact finding mission, August 2007
24. Spector m, Kitsuse J. Constructiong Social Problems, New York, 1987
25. Wittig Monique, One is Not Born a Woman (Nicholson, page 119-128)